ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

№ 15 (84) 19 მაისი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

## თეთრი საქართველოს შავი პერსპექტივა 7

## მაფალუ 8

მე მადლობას ვუძღვნი აწ განსვენებულ მღვდელ ვასილ ჯგუშიას, რომელმაც მე დამასწავლა ქართული წერა-კითხვა... მადლობას ვუძღვნი სტეფანე დავითის ძე გაგუას, რომელიც ჩემი იქ ყოფნის დროს, ზუგდიდის ორკლასიანი სკოლის გამგედ იყო.



ბიორგი ციციშვილი

მაფალუ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(ალტერნატივა)

„მაფალუ" მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინიციატივა კი არა, არამედ სამეგრელოს მონაპოვარი ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო

### ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "გულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა კოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.



## ფესტოსის დისკოს ალმოჩენიდან 100 წელი გავიდა

5

ვაცხადებთ იმათ საყურადღებოდ, ვინც დაუნდობლად ებრძვიან სამეგრელოსა და მეგრულ ენას: "რომ არ ყოფილიყო მეგრული ენა, შესძლებდა კი ქართველი მეცნიერი გია კვაშილავა ფესტოსის დისკის იმ საიდუმლოების ამოხსნას, რომლის გაშიფვრაზე ასი წლის განმავლობაში უშედეგოდ მუშაობდნენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები!"

დაუფიქრდით!!!

## ლავრენტი ბერია – ქართული გენია 4

3

## კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე

ისტორიული მასალები

## სამეგრელოს საამაყო შვილები 5



ლეონიდ ჩიხლაძე

## გაზეთი "ილორი" აქვეყნებს წერილების ციკლს, რომელიც ასახავს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს. 12





9

## ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს! 6

ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"

## მკითხველი გვეხმაურება

გულს მადამიდ აწაწინა ლექსი,
უკმარობის დიდესული განცდა,
სიყვარული მიჩვენია ყველა
მოხვეჭილ და მოსახვეჭელ განცდა.

**გიო გოგბეჩია** 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის გვერდი

# სულიერება, მორალი, ზნეობა...

ქართველი ერის მაღალი კულტურისა და სიცოცხლისუნარიანობის მიმანიშნებელი ეს **“წმინდა სამება”** ჩვენი ისტორიული თანამდევი გახლდათ და სწორედ იგი წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და რელიგიური ყოფის ქვაკუთხედს. ქვეყნის ყოფიერების არსი მხოლოდ სიმართლეს უნდა ეფუძნებოდეს, ისეთ დიდ სიმართლეს, როგორიცაა ბიბლია და სახარებები. სწორედ ეს გახლავთ ერის მაღალი სულიერების ორიენტირი, რადგან სიმართლე ღვთისაგან მონიჭებული სიკეთე გახლავთ, სიცრუისა და ორპირობის სინდრომი კი სატანის საბუდარიდან იღებს სათავეს. ამიტომ ვერასოდეს მოთავსდებიან ერთმანეთში სიმართლის სილამაზე და სიცრუის სიმახინჯე, თუნდაც ეს სიცრუე სიბრძნის დასაყრდენი იყოს. რაც უფრო გენიალურია სიბოროტე, მით უფრო მეტ ხანს შეუძლია მას არსებობა სიცრუის ხარჯზე, მაგრამ ქვეყნად უსასრულო არაფერია, ბოლოს ხალხი იღვიძებს და თავს აღწევს თავსმოხვეული **“სიცრუის სიბრძნის”** ოკეანეს.

საქართველოში სიცრუის უკანასკნელი შემოქმედი გახლდათ ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის განმავლობაში მოჩვენებით სამყაროში ამყოფა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირი, არამედ მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, შემდეგ დახლზე ჩამორიგებით გაყიდა ისინი და უაღრესად კმაყოფილმა და მატერიალურად უზრუნველყოფილმა დასტოვა პოლიტიკური არენა.

სწორედ რომ **“დასტოვა”, “ვარდების რევოლუციის”** სპექტაკლის უნიჭოდ გათამაშებით და თავისი პოლიტიკური შლეიფები დაგვასვა თავს, და არა **“დაატოვებინეს”**, როგორც დღეს მცდარად მიიჩნევს უამრავი ვინმე.

საქართველოს ყოფა უკანასკნელი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში, რა დროსაც საქართველოში ედუარდ შევარდნაძე და მისი პოლიტიკური ლანდი – მიხეილ სააკაშვილი ბოგინობენ, ნათლად მიგვანიშნებს ქვეყნის სულიერ, ზნეობრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ დეგრადაციაზე, რაც გარდაუვალი დაშლადაცემის წინაპირობაა. თუ გავითვალისწინებთ, როგორი კატასტროფული სისწრაფით ვითარდება საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული პოლიტიკა, ალბათ დამერწმუნებით, რომ სახელმწიფოს სრული კრახი არც ისე შორსაა. შეინიშნება ფარული მოლაპარაკებები საქართველოს მეზობელ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც აკვირდებიან სააკაშვილის ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქმედებებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, თვლიან, რომ ამ პოლიტიკის წყალობით საქართველ;ო მალე აღარ იარსებებს როგორც სახელმწიფო და იმის მზადყოფნაში არიან, რომ საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მისაკუთრონ.

სწორედ ეს გახლავთ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების შეგნებული თუ შეუგნებელი ქმედებების შედეგი. განა ვინმე შესძლებდა საქართველოს წინააღმდეგ უფრო შედეგიანად მოქმედებას? რომელ სულიერებაზე, მორალსა და ზნეობაზე უნდა ელაპარაკო იმ სააკაშვილსა და მის გარემოცვას, ვინც პროკურატურის ბოსთა ბოროტ ნებას დაუმორჩილა სრულიად საქართველო, ვინც ხუთ წელიწადში განადგურების რეალური საშიშროების წინაშე დააყენა საქართველო, გააღატაკა მოსახლეობა, თავად კი მილიარდები **“მოივერაგეს”** და ხალხის უკმაყოფილების აგორების შემთხვევაში მზად არიან გასაქცევად. ეს თვალნათელი გახდა 2008 წლის აგვისტოში, როცა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთისათვის ომის გამოცხადებით კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი უგუნურება, ხოლო ქართული ჯარის დამარცხებით დამფრთხალი პოლიტიკური ელიტა საკუთარი ოჯახის წევრებითა და ნაქურდალ-ნაოხრალი ქონებით აზერბაიჯანის საზღვარს მიაწყდა. ასეთ დროს, ჩემთვის, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, მიუღებელია ის უსუსური პოზიცია, რომელიც უკავია ქართული ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს. საქართველოს არაერთხელ განუცდია ნგრევის, ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემის სისასტიკე, მაგრამ მის სულიერებას ვერაფერს აკლებდნენ თემურ-ლენგები და ჯალალედინები, რამეთუ თვით დამარცხებული ხელისუფალიც რწმენის ერთგულების მაგალითს იძლეოდა – სიცოცხლეს სწირავდა (სააკაშვილივით სამარცხვინოდ თხრილში არ ემალებოდა მტრის ტყვიას, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში ქალაქ გორში მოხდა), რათა მის თანამედროვეებს სულის სიმტკიცე შეენარჩუნებინათ. ეკლესია-მონასტრებში ფეთქავდა ეროვნული სული, საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი ეკლესიისადმი სულიერი მორჩილების კლასიკურ ნიმუშს იძლეოდა (როგორ არ ჰგავს ეკლესიისადმი ამგვარი დამოკიდებულება სააკაშვილის საქციელს, რომელიც ძმაბიჭურად მოხვევს ხოლმე ხელს მხრებზე საქართველოს პატრიარქს). ხოლო, როცა სრულიად საქართველოს გონიერი, პატრიოტი მმართველი მოევლინებოდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით შლიდა ფრთებს ჩვენი წინაპრების ეროვნული მეობა, მათი უტეხი სული და საქართველოც თითქოს ფენიქსივით აღსდგებოდა ნანგრევებიდან და ფერფლიდან. სწორედ ამან გადაარჩინა ქართველი ერი და მოიყვანა დღემდე (უფრო სწორად, დღევანდელ განსაცდელამდე).

## ციტატა-შეხსენება

"...საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ძალზედ მომგებიანია, მაგრამ ვინ თქვა და სადაა გარანტია, რომ ამ მდგომარეობის უპირატესობით აუცილებლად ქართველი ხალხი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოთი ისარგებლებს? პირიქით, ბოლო წლების მოვლენების ანალიზი, სხვადასხვა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული კონცეფციების, მსოფლიო პოლიტიკური ელიტის პერსპექტიული გეგმების გაცნობა გვიჩვენებს, რომ არსებობს ძლიერთა ამა ქვეყნისათვის მისაღები თვალსაზრისი, რომ არ არის საჭირო მაინც და მაინც საქართველომ და ქართველმა ხალხმა შეასრულოს რეგიონში ფუნქციონალური როლი, ამ ტერიტორიაზე სათანადო როლის შესრულებას მოახერხებენ სხვა ქვეყნები... ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზედ სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც..."

*(ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის თებერვალი)*

ბოლო ომიც, ამ ერის ერთგულებისა და ერთიანობის ერთ-ერთ ფასეულობად ქცეული, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

**ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას პროფესორ კლიმენტი შელიას წიგნიდან**

დიტო ჩუბინიძეს, გაზეთ **“ასავალ-დასავალში”** გამოქვეყნებულ წერილში **“ძვირფასო მეგობრებო, თუ საქართველოს დამაქცევარის სახელი წამოგცდათ, ნეკა თითზე სამჯერ იკბინეთ!”** მოტანილი აქვს ნაწყვეტი შევარდნაძის 2007 წლის 27 თებერვლის სატელევიზიო გამოსვლიდან: **“მე ცოტა გაკვირვებული ვარ, ახლა რატომ ჩემზე... ახლა თუ ის აქვს მხედველობაში** (იგულისხმება კოკო გამსახურდია), **რომ მამამისის მერე მე ჩამოვედი რამდენიმე თვის შემდეგ... მაშინ... ზვიადი წავიდა თავისი ნებით აქედან... და კიდევ კარგი, რომ არ ესროლეს, თორემ ომი იყო აქ ზვიადის მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის”.**

**თურმე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თავისი ნებით მიუტოვებია თბილისი!..** ამას ამბობს კაცი, რომლის გაპრეზიდენტებასაც საქართველო და ქართველი ერი მსოფლიო მაფიამ მსხვერპლად შესწირა.

შაჰ-აბასის ოთხგზის ლაშქრობას არ მოუტანია საქართველოსათვის ისეთი დამანგრეველი შედეგი, რაც ერთი **“უმუშევრად დარჩენილი პენსიონერის”** (ედუარდ შევარდნაძის) პირადი ბოღმისა და ამბიციების დაოკებას მოჰყვა (შევარდნაძისაგან საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი სიძულვილის მკაფიო დასტური ისიც გახლავთ, რომ სწორედ მან წამოასვა თავს საქართველოს ეთნიკურად არაქართველი, პოლიტიკურად ბეცი არსება, არშემდგარი დიქტატორი და ფრიად უსუსური **“მხედართმთავარი”** მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც გაქრობის საშიშროების წინაშე დააყენა მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე სახელმწიფო. სწორედ ამიტომ არ შეიძლება, რომ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში ჰქონდეს საფლავი — **“ილორის”** რედაქციის კომენტარი).

1991 წლის 2 ივნისს, როცა ზვიად გამსახურდიას ოპონენტთა მიტინგზე ხუთი კაცი თუ იყრიდა თავს, თურმე, ამ ბოდმიანმა კაცმა პირდაპირ მოსკოვიდან დაურეკა საქართველოს პრეზიდენტს... და დაემუქრა **“ბატონო ზვიად, თქვენ და თქვენს თავისუფალ საქართველოს სულ მალე სისხლში ჩავახრჩობთო!”**

ხალხს კარგად ახსოვს ვინ რას აკეთებდა მაშინ. როგორც ამბობენ და წერენ: ბევრი ისინი, ვისი ნებართვით და უშუალო მონაწილეობით არბევდნენ მიტინგებს თბილისში და ხვრეტდნენ უდანაშაულო ადამიანებს თბილისში, სამეგრელოში და სხვა კუთხეებში, არიან ხელისუფლებაში, ბიზნესში, პოლიტიკაში, თურმე პარლამენტშიც. შერიგება, ერთიანობა აუცილებელია, შურისძიება არ უნდა იყოს, მაგრამ დამნაშავეებმა უნდა აღიარონ და სუფთა, კეთილი გულით უნდა მოინანიონ. ჩვენი მაღალი დონის მასმედია, საუკეთესო ჟურნალისტები, რომელთა საქმიანობა შეშურდებოდა ყველაზე ცივილიზებული ქვეყნის ჟურნალისტებს, ხშირად უშიშრად აქვეყნებენ მათ გვარებს.

გაზეთ **“ნერგის”** რედაქტორი მარინე თექთუმანიძე სავსებით სამართლიანად წერს: **“დღეს არავინ ფიქრობს იმაზე, რომ შეიძლება მსგავსი მდგომარეობა კვლავ ჩამოყალიბდეს და თითოეული ჩვენგანი კვლავ მისი მსხვერპლი გახდეს. სამართალდამცველმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა გადახედონ ძველ საქმეებს”.**

2007 წლის აგვისტო-სექტემბრის გაზეთ **“ასავალ-დასავალში”** გამოქვეყნდა ცნობილი ჟურნალისტის გიორგი მამაცაშვილის საუბრები ყოფილ გენერალურ პროკურორთან ვახტანგ რაზმაძესთან (დაკითხვის ოქმები და მისი ღია წერილი). ვახტანგ რაზმაძის ინტერვიუებს და წერილს მკითხველთა თხოვნით, კომენტარი გაუკეთა ჟურნალისტმა დიტო ჩუბინიძემ **“პასუხად ხუნტის გენპროკურორ ვახტანგ რაძმაძეს, რომელსაც სამარის კარებთანაც არ აწუხებს სინანული“.** დიტო ჩუბინიძე ყოფილ გენპროკურორ ვახტანგ რაზმაძეზე, რომელიც ქვეყნიდან განდევნილ ზვიად გამსახურდიას ქვეყნის ღალატში, გენოციდში და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ადანაშაულებდა, წერს: **“ახლაც არ ამომდის თვალიდან ხუნტის გენპროკურორის ღიმილი. რამდენი ადამიანი ეყოლება ამ სატანურ ღიმილს ცოცხლად მოკლული, რამდენი ოჯახი დანგრეული და განადგურებული...”**

* * *

სამეგრელო ეკონომიკურად ამჟამადაც მძიმე მდგომარეობაშია. აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა თავის დროზე დიდად აამაღლა მეჩაიეობამ. სამეგრელო-გურიაში ჩაის ფართობები სულ გაველურდა (ესეც შევარდნაძის დამსახურებაა, რაც **“ღირსეულად”** გააგრძელა სააკაშვილმა — **“ილორი”**), ეკალ-ბარდებმა დაფარა და გარეული ნადირის თავშესაფარი გახდა, რომლებიც მოსახლეობის ფრინველსა და პირუტყვს ანადგურებენ.

წინა ხელისუფლების დროს, თითქმის ჩაის ყველა ფაბრიკა ჯართად გაიყიდა თურქეთში. ასევე განადგურდა ტყეები, გაიჩეხა უნიკალური ჯიშის ხეები და ისიც თურქეთში გაიყიდა. სამეგრელოში არ მუშაობს ფაბრიკა-ქარხნები, მოსახლეობას მუდმივი შემოსავლის წყარო არა აქვს (ესეც ედუარდ შევარდნაძის ვერაგული ჩანაფიქრის შედეგია. მან ხომ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა — აფხაზეთი დაუკარგა სრულიად საქართველოს, და რაც არანაკლებ სამწუხაროა, რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლა გაწყვიტა, რამაც შევარდნაძისაგან მოძულებული სამეგრელო ჩიხში აღმოაჩინა და მისი მოსახლეობა მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა — **“ილორის”** რედაქცია).

როდესაც ქართული პრესა გულწრფელად ხაზს უსვამს სამეგრელოს განსაკუთრებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, ამბობენ, რომ ყველა რეგიონი ჯერ კიდევ განიცდის ეკონომიკურ შეფერხებას (უნდა გავითვალისწინოთ, 1992-2003 წლებში განადგურდა საქართველოს ეკონომიკა, რის ხარჯზეც უზომოდ გამდიდრდა სახელისუფლებო კლანები და ზოგიერთი კაპიტალისტური ჯგუფები, რომლის გამოსწორებას წლები უნდა), მაგრამ სამეგრელომ, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, უმძიმესი მორალური მორალური ტრავმა მიიღო, რომელსაც თავისი სიმძიმით ვერავითარი ეკონომიკური სიძნელე ვერ გადაფარავს. ქართველი ხალხის მეხსიერებაში აღიბეჭდა ის საშინელი დამცირება და შეურაცხყოფა, რომელიც ყოფილმა (შევარდნაძის) ხელისუფლებამ მიაყენა სამეგრელოს მოსახლეობას. საბედნიეროდ, სხვა რეგიონებს ანალოგიური დარტყმა არ მიუღია...

1992 წელს პროვოცირებული ომი, რომელიც, საუბედუროდ, დღესაც გრძელდება, მძიმე მდგომარეობას უქმნის საქართველოს, მათ შორის სამეგრელოს, რომელიც ფრონტისპირა ზოლია...

ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა, ვისაც საქართველოს ბედნიერება და მომავალი უნდა, სამეგრელოს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება, განსაკუთრებული ზრუნვა უნდა გამოიჩინოს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ინტელიგენციის ნაწილი დღესაც სამეგრელოს მიმართ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას იჩენს და აბსოლუტურად დაუმსახურებლად და უსაფუძვლოდ ცილს სწამებს **“სეპარატიზმში”**, ზოგიერთი ტერმინ **“პირწავარდნილ სეპარატიზმსაც“** ხმარობს.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ უკანასკნელ წლებში სამეგრელოში განვითარებულ მოვლენებს, სამეგრელოს მრავალჯერ აწიოკებას მხოლოდ ძე-ზე და შვილ-ზე დამთავრებული გვარის წარმომადგენლებს ვაბრალებთ, ეს უდიდესი შეცდომა იქნება; მეორე უდიდესი დანაშაული ის იყო, რომ სამეგრელოს წინააღმდეგ მტერმა მეგრელები აბრძოლა. ეს იყო საქართველოს მტრების **“საუკეთესო”** ტაქტიკა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო ელდარ შენგელია. ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის სათავეში იდგნენ ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა და სხვები. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში იყო შეცდომები, მაგრამ ქვეყანაში სამოქალაქო ომის დაწყება, თბილისის ცენტრის გადაწვა არავის ეპატიება.

შოთა კვირაიამ ზუგდიდში შევარდნაძის თვალწინ, მის გვერდით მდგომმა, დახოცა მიწაზე დაყრილი, ხელფეხშეკრული ახალგაზრდები (მათზე ამბობდნენ მოსახლეობას ძარცვავდნენო), ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე (მიწაზე დაგდებული პატარა ბიჭი ეხვეწებოდა ბიძია ნუ მომკლავო, მაგრამ ვინ გაუგონა?). მრავლად შეიძლება მსგავსი მაგალითების მოტანა...

* * *

1991 წლის ბოლოს და 1992 წლის დამდეგს საქართველოში დაწყებული ომის სხვადასხვაგვარი შეფასება არსებობს. მიმომხილველთა უმრავლესობა მას სამოქალაქო ომს უწოდებს. ღირსეული ქალბატონი, დიდი პატრიოტი ლატავრა ფოჩიანი, რომელაც თავისი სილამაზითა და ცეკვით განაცვიფრა მსოფლიო, ჟურნალისტ ანა ფერაძესთან საუბარში ამბობს: **“ჩვენი ქვეყნის უბედურების ბოლო წლების მიზეზი 1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებაა. არავითარი სამოქალაქო ომი საქართველოში არ ყოფილა, იმიტომ, რომ სამოქალაქო ომში უცხო ძალა არ მონაწილეობს... დემოკრატიის დროშით მოსულები სისხლში ახშობდნენ ყოველგვარ საპროტესტო აქციებს, ბოლო არ უჩანდა “მხედრიონის” აღვირახსნილ თარეშს სადამსჯელო ოპერაციების სახით. ამ პუტჩის მთავარმა სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა ედუარდ შევარდნაძემ სამაჩაბლო და აფხაზეთი საქართველოს დაუკარგა, ქვეყანა ძაძებით შემოსა”.**

ზვიად გამსახურდიას შესახებ ლატავრა ფოჩიანი ამბობს: **“მეოცე საუკუნეში საქართველოსათვის მასზე მეტი არავის გაუკეთებიაო”...**

მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სჯერა, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსის რობინზონ მარგველანის სიტყვები, რომლის შესახებ ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი წერს: **“მანანას** (ლაპარაკია მანანა არჩვაძეზე) **ისიც აქვს ნათქვამი გროზნოში** (სენაკი და ლანჩხუთი რომ გავათავისუფლეთ ხუნტის ჯარებისაგან, მაშინ ითქვა), **ეხლა ნახეთ, სენაკსაც დაკარგავენ, ფოთსაც, ზვიადს ტყეში გაიყვანენ და დაცვა მოკლავსო. გაიგეთ? ყველაფერი, მთლიანი სცენარი წინასწარ იყო დაწერილი. ეს მხოლოდ უძლიერეს სპეცსამსახურს შეეძლო დაეგეგმა”...**

მიუხედავად ყველაფრისა, დღეს საჭირო არ არის ძველი შეცდომების გაღვივება, შურისძიება. პირიქით, საჭიროა მიმტევებლობა, ურთიერთპატიება. მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი პირობები იქმნება, რომ გაჩერება შეუძლებელია. ათეული წლები გრძელდებოდა სამეგრელოს შეურაცხყოფა, მისი სახელოვანი წარსულისა და ისტორიის უგულვებელყოფა, მიჩქმალვა-დამახინჯება, ენის წართმევა.

მშობლიური ენის წართმევა კი მისი ხალხის სიკვდილია!

## მკითხველის გამოხმაურება

გამარჯობათ!

სასიამოვნოა თქვენი გაცნობა... ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი **“ილორი”**, როგორც გარეგნულად, ასევე თავისი შინაარსით. ალბათ საქართველოს დღევანდელ ჟურნალისტურ სივრცეში იშვიათად, მოიძებნება თქვენი გაზეთის მსგავსი, რადგან იგი მთლიანად მოვლენათა ანალიზსა და შემეცნებაზეა დაყრდნობილი და სწორედ ეს განასხვავებს მას სხვა გაზეთებისგან, განსაკუთრებით ე.წ. **“ყვითელი პრესისაგან”**. ასევე აღსანიშნავია თქვენი გაზეთის ეგრეთწოდებული **“მეგრელიზაცია”** რამაც ჩემი დიდი მოწონება დაიმსახურა, რადგან ეს არის არა კუთხურობის, ან სეპარატიზმის გამოვლინება, არამედ სრულიად საქართველოსათვის იმ სიმდიდრის გაცნობა, რომელიც ისტორიულად სამეგრელოს მორალურ თუ რელიგიურ შრეებში ძევს.

ჩემს შესახებ შემიძლია ბევრი ვისაუბრო, მაგრამ ღირსეული ხარ მაშინ, როცა შენზე და შენს მიერ ქმნილ სასიკეთო საქმეებზე, შენ კი არა, სხვები საუბრობენ. ამიტომ ვიკავებ თავს საკუთარი პიროვნების წარმოდგენისაგან. ყველაფერს დრო გვიჩვენებს...

სხვათა შორის, მე პოლიტიკოსობას ვაპირებ, რადგან ჩემი ცხოვრების მთავარი მიზნის ორიენტირად სამშობლო და მისი ბედნიერება მიმაჩნია, და ეს სიყვარული ადამიანმა მხოლოდ ლექსებში არ უნდა გამოიხატო. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღეში მაინც გამოგიგზავნით ჩემს ერთ-ერთ ლექსს.

მიმაჩნია, რომ გაზეთ **“ილორს”**, დღეს, მთელი მსოფლიოსა და საქართველოსათვის მეტად მძიმე, კრიზისულ ჟამს, სჭირდება მკითხველის დახმარება. მეც მინდა, რომ გაზეთის ფეხზე დადგომასა და გაძლიერებაში შევიტანო ჩემი მოკრძალებული წვლილი,. ამიტომაც გიგზავნით ჩემს ლექსს.

**გიო გობეჩია, 15 წლის, ზუგდიდი.**

**გულს მალამოდ პაწაწინა ლექსი,**
**უკმარობის დიდებული განცდა,**
**სიყვარული მირჩევნია ყველა**
**მოხვეჭილ და მოსახვეჭელ**
**განძთა.**

**დარია და მიხარია რამე,**
**ხან უსაგნო ამაცრემლებს**
**სევდა,**
**ძველებურად მათევინებს ღამეს**
**იმ პირველი სიყვარულის ელდა.**

**ველოდები უჩვეულო რამეს,**
**მიამიტად სასწაულის მჯერა,**
**ბავშვობაში, რომ ნისლავდა**
**თვალებს,**
**ის ოცნება არ გახუნდა ჯერაც.**

**აღარ ვდარდობ ამ გაფანტულ**
**დღეებს,**
**სულს მიწეწავს სიჭაბუკის**
**გზნება,**
**შენთან უნდა მომიყვანონ**
**ბოლოს**
**პოეზიის ეკლიანმა გზებმა.**

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია

(გთავაზობთ ნაწყვეტებს ჟურნალისტ ალეკო თოდუას წიგნიდან **“ბერიას ოდაბადე – საქართველო-აფხაზეთი”**)




მოდით, დავუბრუნდეთ ბერიას რეფორმებს და ამნისტიას. ბერიამ **“გულაგების”** ანუ ტყეთა ბარაკების სისტემა მთელი თავისი ვრცელი მეურნეობით იმხანად უძლიერეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამოართვა და იუსტიციის სამინისტროს გადასცა. ამ უაღრესად პროგრესულ აქტს ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო დატვირთვა და დიდი მნიშვნელობა აქვს დღესაც... ეს გააკეთა სწორედ ბერიამ და არა მალენკოვმა ან ვოროშილოვმა, მით უმეტეს ხრუშჩოვმა.

ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ **“ექიმების საქმის”**, **“ებრაელთა საქმის”**, **“ავიატორების საქმის”**, **“მეგრელთა საქმის”** და სხვა პოლიტიკურ საქმეთა **“ანშლუსირება”** გააკეთა, გაანთავისუფლა და ჯურღმულებისაგან იხსნა ასიათასობით ადამიანი...

სტალინის და ბერიას აშკარა მტერი ა. ავტურხანოვი, თავის ცნობილ წიგნში **“ხელისუფლების ტექნოლოგია”**, წერს: **“და თუ ათასობით ადამიანი გადაურჩა სიკვდილს, არ მისულა საკონცენტრაციო ბანაკებში, ესაა საბჭოთა კავშირის ყველაზე საძაგელი ადამიანის – ბერიას დამსახურება“**. იგივე ავტორის სიტყვებით **“თუ არ შედგა მეორე “ეჟოვშჩინა” – უფრო მკაცრი “დიდი წმენდა” და ასეული ათასობით ადამიანები გადაურჩნენ ჩეკისტების ტყვიას, მილიონობით კი საკონცენტრაციო ბანაკებს, ქვეყანა ამას ბერიას უნდა უმადლოდეს“**. არ დაითვლება, რამდენი ჰქონდა ბერიას პროგრესული, ნამდვილი დემოკრატიული იდეები. მწერლის გერმანე ბეზირგანის გადმოცემით, ბერიას გეგმით **“იმპერია, ალბათ, თანამეგობრობად გარდაიქმნებოდა, რომელიც მაინც დაიშლებოდა, მაგრამ არც საქართველოს, არც სხვა ქვეყნებს არ მოუწევდათ იმ ტრაგიკული გზის გავლა, რომელიც ჩვენ გავიარეთ უახლოეს წლებში“**, დავუმატებდი: **“ტრაგიკული გზა”** საუბედუროდ კიდევ არ არის დასრულებული – საქართველოსათვის: ბერიას რეფორმებისათვის ხორცშესხმის საშუალება რომ მიეცათ, საზოგადოება აუცილებლად მივიდოდა აღქმულ მიზნამდის, არა, ლენინ-ხრუშჩოვის **“კაშკაშა კომუნიზმის”** მწვერვალამდის, არამედ, უსათუოდ, საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობამდის და ეს მოხდებოდა 40-45 წლის წინ, თანდათანობით, რეფორმებით და არა კატაკლიზმებით, გაუაზრებელი ნახტომებით, ე.წ. გარდაქმნებით, სისხლითა და წამება-წვალებით. ბერიას კურსს გაგრძელება რომ ჰქონოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის თუ რა სიმაღლეზე იქნებოდა ეხლა რუსეთი ეკონომიკის დარგში, დემოკრატიის გაგებით და საერთოდ, ცივილიზაციის ყველა მონაპოვრით. ეს ეხება კავშირის ყველა ხალხს, რომლებიც (როგორც რუსეთი, ისევე დანარჩენები დღეს **“მშრალ ულუფაზეა”** და უბადრუკი, უსახელო სიკვდილის კარამდე მიათრევენ თავიანთ გაცოდვილებულ არსებობას) დღეს ყელამდე არიან ჩაფლულები მსოფლიოს საერთაშორისო ფონდის თუ სხვა დასავლური და აღმოსავლური ქვეყნების ვალებში. ეს ყველაზე მეტად, საუბედუროდ, საქართველოს ეხება (ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის წყალობით). დარწმუნებული ვარ, ბერიას ჩანაფიქრის სანახევროდ შესრულების შემთხვევაშიც კი, ყოველგვარი შოვინიზმი აღმოიფხვრებოდა. ხალხს განსწავლულობის, ისტორიული ტრადიციების, კულტურული დონის შესაბამისად, ასევე ეკონომიკური დონისა და პოლიტიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით – მიეცემოდა დამოუკიდებლობა, თავისუფლება, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი; ადგილი არ ექნებოდა ეთნიკურ სისხლისღვრას. ამის თამამად პროგნოზირების უფლებას იძლევა მთელი მისი ბობოქარი საქმიანობა, განსაკუთრებით, სტალინის სიკვდილის შემდგომ მონაკვეთში, რომელიც, სამწუხაროდ, ფრიად მოკლე იყო.

სწორედაც რომ ევროპული სახელმწიფოების ტიპის ცივილიზებული რუსეთის, ასევე კავშირის სხვა ხალხთა ბედნიერებისათვის იბრძოდა ლავრენტი პავლეს ძე ბერია. ამ სიკეთეს უყრიდა საფუძველს ბერია 45 წლის წინ, ფაქტობრივად მისი მმართველობის უმოკლეს პერიოდში 100 დღის განმავლობაში, სტალინის სიკვდილის შემდეგ.

დავუბრუნდეთ სერგეი ნიკიტას ძის საეთერო გამოსვლას ამერიკის შეერთებულ შტატებში. როცა სერგეის შეეკითხნენ: **“როგორ უყურებთ თქვენ ახლა ხალხის მიერ “ხრუშჩოვკებად” მონათლულ სახლებს?”**, მან შეუშფოთებლად, უტიფრად უპასუხა: **“ნორმალურად, ისინი გათვალისწინებული იყო სულ რაღაც 25 წლის სამსახურისათვის, მათ თავისი მოვალეობა შეასრულეს“**. ასეთი განცხადება ღიმილის მომგვრელია, სატირალი რომ არ იყოს: შეხედეთ, **“დასტკბით!”**, რკინა-ბეტონის კაპიტალური შენობები, ე.წ. ხუთსართულიანი ასანთის კოლოფები – ხრუშჩოვმა მასიურად ააშენებინა მოსკოვში და უკიდეგანო საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში და დაბებში, სოფლებშიც ყოველგვარი არქიტექტურული გაფორმების გარეშე. ეს ე.წ. **“კომუნალკები”** საბჭოეთის ქალაქთა **“სიმსივნენი“** (ეხლა, მით უფრო). მიმდინარეობს მათი დამსხვრევა და იცით რამდენია ასეთი შენობა მხოლოდ მოსკოვში? – მთელი 335 მილიონი საცხოვრებელი ფართი. მათი ლიკვიდირების ახლანდელი ტემპებით ამ **“კოლოფების”** მსხვრევა-გაზიდვას 40-45 წელზე მეტი დასჭირდება. არა და, მათ აშენებაში მთელი საბჭოეთის მოქალაქეთა პატიოსანი ნაშრომის გატყავებით წართმეულ-წაგლეჯილი ფულია ჩადებული.

ამ სულისშემხუთავ **“ხრუშჩოვკებში** მთელი თაობები გაიზარდა არასრულფასოვნების კომპლექსებით. აბა, სხვანაირად როგორ შედეგს მივიღებდით? – საერთო სამზარეულო რამოდენიმე ოჯახისათვის, საერთო ტუალეტი, დაბრეცილი კედლები მრუდე პანელებისაგან, ასეთივე სართულშუა გადახურვის ფილები და სხვა. როგორი წარმოსადგენია?! ისმენ ყოველდღიურად საათობით შენი და სხვა ოჯახის წევრების აურზაურს, ჩურჩულსაც კი, კუჭის ხმაურს და სხვა. ვიკითხოთ: შეიძლება ვაშენოთ კაპიტალური სახლები 25 წელზე გაანგარიშებით? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ ქვეყნის ლიდერი მედროვეა. ის არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე. ამავე დროს პოპულისტია. ერთბაშად **“გენიალურად”** გადაწყვიტა საბინაო პრობლემა. სინამდვილეში კი გააუარესა. კაცს მშენებლობის არაფერი ესმის. ბრიყვია.

გავაკეთოთ მცირე შედარება – ბერიასთან, მით უმეტეს ის მშენებელ-არქიტექტორია და როგორც ჩანს, მართლაც გენიალური. მოვიყვანთ ერთ პასუხს პატივცემული მწერლის ზენკოვიჩის წიგნიდან **“გარდასულ საუკუნეთა ლანდები”**: “**მოსკოვში, გაგარინის მოედანზე ორი ნახევრად მრგვალი სახლია აშენებული ბერიას პროექტით. ისინი დამშვენებულია ქანდაკებებით. ასეულათასობით მოსკოველს დღეს აზრადაც კი არ მოსდის, ვინ ჩაიფიქრა მათი გეგმა, ვინ შეასხა ხორცი მათ პროექტებს? უნდა დავამატოთ: ეს შენობები დამშვენებულია არა მარტო “ქანდაკებებით” არამედ ელინური ტრადიციების კოშკებითაც: მაღალი, ნახევრად წრიული, გემოვნებით გაფორმებული თაღებით. ორივე სახლი მზეთუნახავებია, მოსკოვის მშვენებაა, არქიტექტორულ ძეგლებს წარმოადგენენ. მეზობლად, ლენინის პროსპექტზე დგას სახლი, რიგითი ნომრით, 22. მისი პროექტის ავტორია პროფესიონალი მხატვარი, მაგრამ სახელი გაითქვა, სწორედ, რომ როგორც არქიტექტორმა ერთადერთი სახლის აშენებით... უნდა აღვნიშნოთ, რომ გაგარინის მოედანზე აშენებული ლ.პ. ბერიას სახლები არამც თუ ჩამოუვარდებიან №22 სახლს, არამედ პირიქით, აღემატებიან კიდეც მხატვრული პარამეტრებით, სხვა მონაცემებითაც. ასეთი შედევრებისათვის სხვებს პრემიებით აჯილდოებდნენ. თუმცა ბერიას რეგალიები არ აკლდა... და კიდევ – პოკლონის ბორცვიდან ჩანს მოსკოვის უნივერსიტეტის კორპუსები, ზეატყორცნილი შპილებით! ამ კორპუსის მშენებლობის უფროსი იყო ლ.პ. ბერია“**. რომც ჰქონოდა ბერიას არქიტექტურის სფეროში ხარისხიც, ხრუშჩოვი მასაც წაართმევდა, გაუუქმებდა, როგორც ეს გაუკეთა ლავრენტი ბერიას შვილს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს სერგო ბერიას... დიახ, პოლიტიკანობასთან არაფერი არა აქვს საერთო დიდ შემოქმედებას და მეცნიერებას. ხრუშჩოვისთვის ორივე ეს ცნება გაუგებარია... პეტრე პირველმა დაარსა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, ხრუშჩოვი კი მის გაუქნებას გეგმავდა. მაშინდელი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნესმეიანოვის მოგონებით, ხრუშჩოვი იმუქრებოდა. და კიდევ, **“ლისენკოს ჩემთან ხელს ნუ ახლებთ: თავებს მოგკვეთთ“**...

ბერია იყო ყველაზე მეტად ინფორმირებული ადამიანი ხელმძღვანელობაში, ამიტომაც, არაა გასაკვირი, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ სწორედ ის გამოვიდა რეფორმის პროექტით. მან შეიტანა წინადადება პარტიის როლის შეზღუდვის შესახებ, მიეცათ მეტი დამოუკიდებლობა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის. თავისი გეგმებიდან ბერიამ მოასწრო ზოგიერთების ხორცშესხმა: **“ხუთწლედის მშენებლობები”** შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადასცა სამოქალაქო სამინისტროებს, გააუქმა წამების გამოყენება ძიების პროცესში, გაატარა ამნისტია, აღადგინა თავის უფლებებში ე.წ. **“ექიმების საქმის”**, **“ავიატორების საქმის”** და სხვა **“საქმის”** მონაწილენი და სხვა.

ცნობილია, თუმცა ძალიან მალავენ, რომ ლ.პ. ბერია არის ამერიკის შეერთებული შტატებიდან , ინგლისიდან, გერმანიიდან ატომური ბომბის ტექნოლოგიის, რაკეტული იარაღის და სხვა საიდუმლოებების საბჭოთა კავშირში გადმომტანი (მის მიერვე შექმნილი დაზვერვის ქსელით). როგორც აკადემიკოსები წერენ **“ბერია ბრწყინვალედ ერკვეოდა“** ატომური ენერგეტიკის და რაკეტული ტექნიკის ლაბირინთებში. აგრეთვე, წყალბადის ბომბის საიდუმლოებაში. სწავლულები განცვიფრებული იყვნენ მისი ცოდნის დონით.

ბერია მხოლოდ პოლიციელი არ იყო... არამედ იყო მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მზვერავი.

სამამულო ომის პერიოდში და ყოველთვის, ის ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერების განმტკიცებას, პირადად ხელმძღვანელობდა კავკასიის დაცვას. ამასთან დაკავშირებით აქ მოვიყვან მცირე პასაჟს, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ როზა გრიგორის ასული ქანთარიას მონათხრობიდან, მით უმეტეს, ქალბატონი შესაძლოა დღეს ერთადერთი იყოს ამ წიგნის რესპონდენტებიდან, ვისაც ბედნიერება ჰქონდა ცოცხალი ენახა ბერია.

**“1939 წლიდან კელასურის სადგურის უფროსი იყო ჩემი ბიძა ელეფთერ ქანთარია. მამაჩემის ფრონტზე დაკარგვის სემდეგ მე ბიძის ოჯახში ვცხოვრობდი. ერთხელ ასეთი ფაქტის მოწმე გავხდი: შევედი ბიძაჩემის კაბინეტში და დავინახე მაგიდასთან მჯდომი პენსნეიანი მამაკაცი. თავი ასწია, გამჭოლად შემომხედა... მე მასში შევიცანი ბერია სურათების მიხედვით, რომელიც ჩვენთან ბინაში და ბიძის კაბინეტის კედელზე ეკიდა. როგორც შემდეგ გავიგე, ბერია ჩამოვიდა იმიტომ, რომ გერმანელები კავკასიის დაპყრობის ზღვარზე იყვნენ, სვანეთის მთებში სანჭაროს უღელტეხილამდე დასეირნობდნენ და სოხუმს ბომბავდნენ. ზუსტად სამ დღეში დამყარდა დისციპლინა, აღსდგა წესრიგი. მანამდე კი იყო შიში, ქაოსი, დაბნეულობა, ძარცვა, ქურდობა... ბერიამ გასცა განკარგულება და მთლიანად საქართველოდან მობილიზაცია გაუკეთდა ვირებს, ურმებს და სხვა საჭაპანო ტრანსპორტს, სვანეთის მთებში უღელტეხილებით იარაღის, საჭურვლის და პროდუქტების ასაზიდად... ბერიას უშუალი ხელმძღვანელობით გერმანელები განდევნილ იქნენ კავკასიიდან. ასე ჩაიშალა ფაშისტური გეგმა “ედელვაისი“.**

ეს, რა თქმა უნდა, მცირე დეტალია კავკასიის დაცვის დიდი ეპოპეიდან, რომელიც ლავრენტი პავლეს ძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა.

## ციტატა-შეხსენება

ცალკეული ხალხების გეგმაზომიერი განადგურების ყონცეფცია შემუშავებული ჯერ ერთი ჰიტლერისა და როზენბერგის მიერ, შემდგომში კი "ცერეუს" ცნობილი შეფის ალენ დალესის მიერ. ჩვენს დროში კი მასში შევიდა ზოგიერთი ცვლილებები, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მსოფლიო რეალიებს. აღნიშნული ყონცეფცია ითვალისწინებს:

1. არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სრული დისკრედიტირებისა და გამაერთიანებელი საერთო ეროვნული მიზნების წარმოქმნის დაუშვებლობას;
2. საშინაო შეარაღებული ყონფლიქტთა სერიის გაჩაღებას, სეპარატიზმის მხარდაჭერასა და სახელმწიფოს რამდენიმე ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ ტერიტორიებად დაყოფას;
3. სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმო სიმძლავრეთა გაჩერებას, დემონტაჟსა და განადგურებას;
4. სრულ დამოკიდებულებას შემოტანილ სურსათსა და ფართო მოხმარების საქონელზე;
5. იმ ჰირობათა განადგურებას, რომელიც აუცილებელია ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის დაშლას და მათ მიუწვდომელ ფუფუნებად ქცევას;
6. მოსახლეობის ზნეობრივ დეგრადირებას, ტრადიციული ღირებულებების განადგურებას, ეროვნული კულტურის განდევნასა და უცხოური სუროგატით მის შეცვლას (ჰიტლერი: "ამ ხალხებმა უნდა იცოდნენ, რომ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი კულტურა _ გერმანული". ალენ დალესი: "მათთვის იდეალი უნდა გახდეს ამერიკული მასობრივი კულტურის ყველაზე ჰრიმიტიული ნიმუშები").

*(ალექსანდრე ჯაჯია, 1997 წლის თებერვალი)*

# სამეგრელოს საამაყო შვილები



## ლეონტი ჩიხლაძე

ლეონტი ჩიხლაძე დაიბადა 1923 წლის 10 თებერვალს, ქალაქ სენაკში. მისი მშობლები – იულიანა ლატარია და ლავრენტი ჩიხლაძე უკრავდნენ ჩონგურსა და გიტარაზე. სწორედ ამიტომ დაჰყვა ლეონტის სიმღერის სიყვარული. სკოლაში რვა წლისა შეიყვანეს. მეექვსე კლასში ავად გახდა და ნახევრად დაბრმავებულმა საშუალო სკოლა ორი წლის დაგვიანებით დაამთავრა. ყმაწვილი ან ინვალიდის საშინელ ხვედრს უნდა შეგუებოდა, ან ნებისყოფა დაეძაბა და სამომავლოდ ახალი გზა აერჩია.

1941 წელს, იმხანად საქვეყნოდ ცნობილმა ლოტბარმა რემა შელეგიამ ლეონტი ჩიხლაძე მომღერლად ჩარიცხა სენაკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. ქართული ხალხური სიმღერა მთელი გულით სწორედ ამ დროიდან შეიყვარა და სიკვდილამდე არ განელებია ეს გრძნობა. რემა შელეგიასთან გატარებულ წლებს ლეონტი ჩიხლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან მის აღზრდილთა შორის იყვნენ ვირტუოზი ხალხური მომღერლები: ნოკო ხურცია, ბიქტორ აბშილავა, პორფილე გაბელია, გრიგოლ ხურცია, მიშა რუხაძე, ნიკოლოზ კაკაჩია, ლოტბარი ლონგინოზ მიმინოშვილი და სხვა.

პირველი მომღერალთა კოლექტივი, რომელთანაც ლეონტი ჩიხლაძემ იმუშავა, იყო სენაკის პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეთა გუნდი. შემდგომ წლებში მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეთა კოლექტივთან.

1954-55 წლებში ბატონი ლეონტი ჩიხლაძე მუშაობდა რკინიგზის საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლე გოგონებისან ჩამოაყალიბა მეჩონგურეთა ანსამბლი. ამ კოლექტივმა იმავე წლის გაზაფხულზე მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის საშუალო სკოლების თვითმოქმედი კოლექტივების ოლიმპიადაზე თბილისში და ჟიურის კარგი შეფასება და საპატიო სიგელი დაიმსახურა.

1959 წელს ლეონტი ჩიხლაძემ შექმნა მომღერალთა ანსამბლი "ოდოია–59", რომელიც ყველა შემოქმედებით ღონისძიებებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობდა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მის გამოსვლას ფოლკლორისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ბორჯომში. ანსამბლი რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი გახდა. 1991 წელს მას მიენიჭა სახალხოფოლკლორული ანსამბლია სტატუსი და ეწოდა ნოკო ხურციას სახელი.

1969-85 წლებში ლეონტი ჩიხლაძე ხელმძღვანელობდა სენაკის მესამე საშუალო სკოლის გუნდს, რომელიც წარმატებით გამოდიოდა როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ ფესტივალებზე.

1974-76 წლებში მიიწვიეს აბაშის II საშუალო სკოლისა და პროფტექნიკური სასწავლებლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელად.

1976-79 წლებში ხელმძღვანელობდა აბაშის კულტურის სახლთან არსებულ რაიონულ მომღერალთა გუნდ "ჰარირას". 1978 წელს ეს გუნდი იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

პარალელურად ბატონი ლეონტი ჩიხლაძე თეატრის ცხოვრებითაც ცხოვრობდა. ომის წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა და მონაწილეობდა დრამატული წრის დადგმებში, მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრში. სერიოზული სამსახიობო გამოცდილება დაუგროვდა სენაკის სახელმწიფო თეატრში. სცენაზე მას 50-ზე მეტი როლი ჰქონდა განსახიერებული.

ლეონტი ჩიხლაძემ მუსიკალურად გააფორმა 27 სპექტაკლი. 1960-61 წლებში სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრში შეიქმნა ორკესტრი, რომლის დირიჟორადაც ბატონი ლეონტი დაინიშნა.

ლეონტი ჩიხლაძე წლების განმავლობაში აქვეყნებდა სტატიებს კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებზე, სენაკის საჭირბოროტო საკითხებზე.

1998 წლის 11 ნოემბერს სენაკის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა შემოქმედებითი საღამო, რომელიც ღვაწლმოსილ პედაგოგისა და ლოტბარის, ბატონ ლეონტი ჩიხლაძის დაბადებიდან 75 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისთავს მიეძღვნა.

2002 წლის დასაწყისში სენაკის მესამე სკოლაში შეიქმნა ბიჭების ანსამბლი "ჩელა", რომლის ლოტბარად მიიწვიეს პედაგოგი ლეონტი ჩიხლაძე. სულ მალე სენაკმა სასიხარულო ცნობა მიიღო – მესამე საშუალო სკოლის ანსამბლმა "ჩელამ" პირველი ადგილი დაიკავა. ნომინაციაში "საუკეთესო ხელმძღვანელი", პირველობა ერგო "ჩელას" ხელმძღვანელს, ლოტბარ ლეონტი ჩიხლაძეს. ნომინაციაში "საუკეთესო ჩაცმულობა", ასევე "ჩელამ" მიიღო, რაც მისი ლიოტბარის დიდი დამსახურება გახლდათ.

ბატონი ლეონტი ჩიხლაძე იყო რესპუბლიკური ფესტივალის ხუთგზის და საკავშირო ფესტივალის ორგზის ლაურეატი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. 2000 წელს მან მიიღო ღირსების ორდენი, 2001 წელს კი აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ბატონმა ლეონტი ჩიხლაძემ აღასრულა ის, რაც თავის სენაკს აღუთქვა: "უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვემსახურები ჩემი საყვარელი ქალაქის კულტურის აღმავლობას. სენაკი ხომ ნაწილია ჩემი სათაყვანებელი საქართველოსი".

ღვაწლმოსილი ადამიანი – გარდაიცვალა 2003 წლის 17 იანვარს. მან სამართლიანად დაიმკვიდრა განუმეორებელი, მაღალი სულიერების მქონე ადამიანის სახელი.

**თამარ ილურიძე**

# ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან 100 წელი გავიდა

**ვაცხადებთ იმათ საყურადღებოდ, ვინც დაუნდობლად ებრძვიან სამეგრელოსა და მეგრულ ენას: "რომ არ ყოფილიყო მეგრული ენა, შესძლებდა კი ქართველი მეცნიერი გია კვაშილავა ფესტოსის დისკის იმ საიდუმლოების ამოხსნას, რომლის გაშიფვრაზე ასი წლის განმავლობაში უშედეგოდ მუშაობდნენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები!"**

**დაუფიქრდით!!!**

***დაახლოებით 100 წლის წინ, 1908 წლის 3 ივლისს, იტალიელმა არქეოლოგმა, დოქტორმა ლუიჯი პერნიემ კუნძულ კრეტაზე აღმოაჩინა თიხის დისკო, რომლის ასაკი დაახლოებით 4.000 წელია. ფირფიტის ორივე მხარეს ოქროს ყალიბით (დამწერლობით) ამოტვიფრულია 244 ნახატ-ნიშანი და 63 სიტყვა-კომპოზიტი. ფესტოსის დისკოს გაშიფვრას მრავალი მეცნიერი ცდილობდა, მაგრამ...***

2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერს ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიის შენობაში გაიმართა ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია. აქ, მსოფლიოს გამოჩენილი სწავლულების წინაშე, სიტყვით გამოვიდა ქართველი მეცნიერი გია კვაშილავა, რომელმაც განაცხადა, რომ მთლიანად გაშიფრა ფესტოსის დისკო!

გია კვაშილავას აზრით, ფესტოსის დისკოზე კოლხური ოქროდამწერლობით ამოტვიფრული ტექსტი წარმოადგენს საგალობელს **"ნენანას"**, რომელიც **"აია – ნეშკარის"** მფარველ, პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დიდ დედაღვთაება ნანას, (ანუ რეა-კიბელა-იდეს) სიბილას ეძღვნება.

როგორც რელიგიის ისტორიიდან არის ცნობილი, მოგვიანებით ქრისტიანულ ეპოქაში, ათონის წმინდა მთაზე, ივერონის მონასტრის ბერები **"ნენანას"** უგალობდნენ, ვითარცა ღვთისმშობელს...

ქართველი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს გახლავთ ოთხი ათასი წლის წინანდელი, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც ქართველურ, კერძოდ, კოლხურ ენაზე გაიშიფრა!

ლონდონში, ბურლინგტონის სასახლეში მდებარე ხელოვნების სამეფო აკადემიაში იყო განთავსებული ლონდონის ანტიკვარიატის მოყვარულთა საზოგადოება (არა როგორც ქონების, არამედ, როგორც მეცნიერული კვლევის საგნის – რედაქცია), რომელიც წლების განმავლობაში ინახავდა ცნობილ **როზეტის ქვას**, ვიდრე მას სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანდნენ. ეს არის ბაზალტის ფილა, რომელზეც ამოკვეთილია ძველეგვიპტური იეროგლიფები. იგი 1799 წელს ეგვიპტეში აღმოაჩინა საფრანგეთის ჯარების ოფიცერმა ბუშარმა, ფორტ სენ-ჟულიენის აგებისას. ქვაზე წარწერები შესრულებული იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 196 წელს და წარმოადგენდა ეგვიპტელი ქურუმების მიერ მეფე პტოლემეიოს V-ს მიერ მიძღვნილ სამადლობელს ეპიფანესადმი.

როზეტის ქვაზე ამოტვიფრული ტექსტის გაშიფვრას ბევრი მეცნიერი ეცადა, მაგრამ ეს მხოლოდ ჟან ფრანსუა შამპოლიონმა შესძლო 1822 წელს, რაც საფუძვლად დაედო ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის შესწავლას.

ლონდონის კონფერენციაზე მოხსენება წაიკითხა ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა **მაიკლ ვენტრისმა**, რომელმაც ადრე კრეტაზე ნაპოვნი ერთ-ერთი ფირფიტა გაშიფრა. ამ საქმეს მან შვიდი წელიწადი მოანდომა. კონფერენციაზე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავს მიეძღვნა, მოწვეული იყო ამ დისკოს გაშიფვრაზე მომუშავე თითქმის ყველა მეცნიერი, მთელი მსოფლიოდან. ზოგი მათგანი ამ პრობლემაზე 40-50 წლის მანძილზე მუშაობდა. მიუხედავად ამისა, მომხსენებელთა რაოდენობა ძალზე შეზღუდული იყო – მხოლოდ 12 მეცნიერს ხვდა ამის პატივი.

დარბაზში დელიკატური საზოგადოება იყო თავმოყრილი. ისინი ყურადღებით, მოთმინებით უსმენდნენ ერთმანეთს, მაგრამ ძალიან პრინციპულები, მკაცრები იყვნენ – შეცდომას, ოდნავ ხარვეზს არავის აპატიებდნენ. ამ სახელმოხვეჭილ ადამიანებს, რომელთა მთელი სიცოცხლე ჰესტოსის დისკოს კვლევასთან იყო დაკავშირებული, კვაშილავას მოხსენებაში რაიმე უზუსტობა ან მიუღებელი ვარაუდები რომ შეემჩნიათ, აღარ მოუსმენდნენ.

წარმოდგენილი იყო ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა წაკითხვისათვის გია კვაშილავას მიერ შექმნილი ალგორითმი, რომელიც ბუნებრივად ეყრდნობა თვით მასალის გრაფიკულ მონაცემებს და მარტივად, ცალსახად მოიცავს, არა მხოლოდ დისკოს ტექსტს, არამედ ვრცელდება, აგრეთვე, იმ სამ წარწერაზე, სადაც გამოყენებულია ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნები: წარწერა არქალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე და ფესტოსის ლარნაკზე.

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური მასალა, რომელიც მიღებულია თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ შედარებითი მეთოდებით პროტოქართველური (კოლხური) ენის აღდგენისას. მთელი ეს მასალა ადექვატურად ასახულა ფესტოსის დისკოს წარწერაში, რაც მტკიცედ უჭერს მხარს გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს კოლხურ (პროტოქართულ ენაზე) წაკითხვას. ტექსტი თარიღდება იმ პერიოდით, როდესაც ჯერ არ არის მომხდარი საერთო-ქართველური დაშლა ერთი მხრივ მეგრულ-ჭანური, ხოლო მეორე მხრივ ქართულ განშტოებებად (ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეული).

კონფერენცია ერთ-ერთმა მხცოვანმა მეცნიერმა დოქტორმა ციგენფუსმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: **"მოთმინება, ახალგაზრდავ, მოთმინება! ყოველივეს, რაც აქ მოვისმინეთ, გამოწვლილვით ანალიზი სჭირდება. გარწმუნებთ, სამ წელიწადში თქვენ მსოფლიოში აღიარებული ადამიანი იქნებით"**.

მაღალი შეფასებები მისცეს კვაშილავას კვლევას პიტერ კლეიტონმა და სხვა მეცნიერებმა.

მას შემდეგ, რაც ინფორმაცია გია კვაშილავას სენსაციური აღმოჩენის შესახებ ინტერნეტით ვებ-გვერდზე განთავსდა, ავტორმა შვიდი ათასზე მეტი წერილი მიიღო საქართველოდან და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სახელმოხვეჭილი მეცნიერის, ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის ჟურნალ **"მინერვას"** დამფუძნებელ-გამომცემელის და სამეფო **"ათენა-გალერეის"** დირექტორის ბატონ ჯერომ ეიზენბერგის შეფასება, რომელიც მიიჩნევს, რომ ფესტოსის დისკის ოქროდამწერლობა სულაბურ-ლოგოგრამულია, რომელიც ძველმა კოლხებმა შექმნეს 4.000 წლის წინ.

გაზეთ **"ილორის"** რედაქცია წარმატებებს უსურვებს ბატონ გია კვაშილავას, რომელმაც კიდევ დიდი შრომა უნდა გაწიოს იმისათვის, რომ წარმატებულ დასასრულამდე მიიყვანოს კრეტული იეროგლიფების შესწავლა.

**დ. ლეონიძე**

# ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



## (ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

*1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბენკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.*

საერთოდ, "კონდაკების" გამოყენება ხდებოდა უადრესად თავისებურად. მაგალითად, კონდაკი დაიმახსოვრა რევოლუციურ-კლერიკალური გაზეთ "არძაგანქის" გამომცემელმა, რომლის ტირაჟირებაც აკრძალული იყო რუსეთის მთავრობის მიერ. სომეხი პატრიარქის ტიტულია – ***ვეხაპარი***, ე.ი. ***უდიდებულესობა.*** მას მიმართავენ შემდეგი სიტყვებით – ***წერტ ტერუტიანუტ***, რაც ნიშნავს – ***თქვენო უმთავრესობავ***. ეს ეპითეტები თავისთავად წარმოადგენენ პოლიტიკური თეოკრატიის ნიშნებს, რომელიც დამოუკიდებელია სხვა ხელისუფალთაგან. სინოდის წევრი არქიმანდრიტი ვაგანი და კათალიკოსის ყოფილი პირადი მდივანი და აკადემიის რექტორი ნახაპეტიანი მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისა და სხვა არაკანონიერი ქმედებებისათვის, მისი უმაღლესობა ხელმწიფის ნებით გადასახლებული იქნენ კავკასიიდან, შემდეგ კი, ისინი, კათალიკოსმა, რუს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე, ერთი მათგანი დანიშნა ნახიჭევანის ვიკარად, მეორე კი – კიშინიოვის სომხური ეკლესიის მამულების მმართველად.

როცა თურქეთში სომეხთა პირველი ხოცვა-ულეტვა გაიმართა რევოლუციონერთა "შემოქმედების" წყალობით, რუსეთის იმპერატიულმა ხელისუფლებამ სთხოვა პატრიარქს რაიმე გამოსაფხიზლებელი სიტყვის წარმოთქმა. მან კი, პირიქით, დაიწყო წამაქეზებელი ქადაგებებით გამოსვლა, შექმნა "ღამის სიფხიზლის" ჯგუფები და ამგვარი ქადაგებები ქვეყნდებოდა ეჩმიაძინის გაზეთ "არარატში" არქიმანდრიტ კარაპეტის ხელმოწერით.

ეჩმიაძინს გააჩნია ვეებერთელა მამულები, რომლის მართვა დღემდე დიდ გამოცანად რჩება. მონასტრებში საგულდაგულოდ მალავენ ინვენტარს, ქონებათა სიებს, უწყისებს და ა.შ. ხდება ქონების შესყიდვა და მისი გირაოდ აღება. ასე, მაგალითად, რომელიღაც ბატონ შახ-აზიზოვ კამსარაკანის ქონება ეჩმიაძინის მონასტრის მიერ გირაოთი იქნა აღებული. მეორეს მხრივ, საეკლესიო დაწესებულებები საკმაოდ უხვად მარაგდებიან ბანკებიდან კრედიტებით. ასეთ ეკონომიკურ ქაოსში ძნელია განსაზღვრო, თუ რა სახსრები ხმარდება ეკლესიის საქმეებს და რა იხარჯება შედარებით ნაკლები მწარმოებლობით, რელიგიის თვალსაზრისით. თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ რამდენიმე წლის წინათ ეჩმიაძინის ერთ-ერთ სავანეში გამოაშკარავდნენ იქ მოკალათებული ყალბი რუსული ფულის ნიშნის მჭრელები, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამ რელიგიური ცენტრის ეკონომიკური სურათის ბუნდოვანება თავის აპოგეას აღწევს.

სომეხი ხალხის სევდიანი ისტორია გახლავთ იმ შედეგის ნაწილი, რომელიც დადგა რელიგიური ამოცანებისა და ამა ქვეყნის საქმეთა ერთმანეთში მნიშვნელოვნად არევის მიზეზით (აი, თარგმანი იმ მასალისა, რომელსაც ამის თაობაზე წერდა ეჩმიაძინში მოგზაურობის შემდეგ ფრანგი სწავლული, ბარონი დე-ბაი, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი სამშობლოს საფრანგეთისათვის საფუძვლიანად გაცნობის პატივი რიგი წიგნებისა და ბროშურების გამოცემის გზით. მან რამდენჯერმე შემოიარა კავკასიის ყველა კუთხე-კუნჭული და მისი თხრობის კილო ყოველთვის გამოირჩეოდა ზომიერებითა და მიუკერძოებლობით. "ვუახლოვდებით სოფელ ვარშაპატს. უწინარესად, ჩვენ ვხედავთ ძველ, მიტოვებულ წმინდა რიფსიმეს ეკლესიას, ამჟამად აღდგენილს, ჩაშავებული კედლით გარემოცულს. ***ეს ეკლესია გარკვეული დროის განმავლობაში ყალბ ფულისმჭრელთა თავშესაფარი იყო***. აი, უკვე ეჩმიაძინში ვართ, ყველა უცხოელს აქ გულიანად ხვდებიან – და მე სიტყვები არ მყოფნის იმის გამოსახატად, თუ როგორი თავაზიანები და ზრდილები არიან აქაური ბერები, რომლებიც ***ხელერთპირად*** ეპისკოპოსის ჩინს ატარებენ. მაგრამ, მიუხედავად ამდენი მადლობის სიტყვებისა, მე მაინც გულახდილი უნდა ვიყო. ***ამ მონასტერმა ჩემზე უფრო პოლიტიკური ცენტრის შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე რელიგიურისა***. მისი უწმინდესობა კათალიკოსი პატივსაცემი ბერია, რომელიც ალერსით იღებს უცხოელებს; ***მას ძალზე დახვეწილი, დიპლომატიური აზროვნება გააჩნია; ამბობენ, რომ თავის ქადაგებაში იგი ხშირად იყენებს ქარაგმებს...***" თქმულების საწინააღმდეგოდ, რომელიც ეჩმიაძინს მე-4 საუკუნის ძეგლად თვლის, არქეოლოგიური ნიშნებით დე-ბაი მას მე-15 საუკუნის ძეგლად მიიჩნევს, ხოლო კედლის წარწერებს სპარსული ხელოვნების სახეცვლილებად აღიარებს. "უძველეს" საგნებს ავტორი სკეპტიკურად ეკიდება: "საეკლესიო სალაროში შენახულ რელიქვიათა, მათ შორის "წმინდა ასლების" სიძველე სადაო გახადა ამ დარგში ჩემზე ბევრად კომპეტენტურმა მეცნიერმა. იმდენად, რამდენადაც, სამწუხაროდ, მონასტრის არქივი გაუჩინარდა, აღარ არსებობს რაიმე ცნობები მის საგანძურში მოგროვილ საგნებზე. ნაკლებად არიან დაინტერესებული მონასტრის კედლებში არქეოლოგიური, ისტორიული და მხატვრული სამუშაოების ჩატარებით; დღის წესრიგში მხოლოდ დღევანდელობა და მიმდინარე საკითხებია. ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ აქ სახეზეა ინგლისისადმი დიდი სიმპათიის კერა, ოდნავაც არ სცდებიან. ყოველი შემთხვევისათვის, ინგლისი ყოველგვარ საშუალებას იყენებს, რომ გამოიწვიოს ეს სიმპათია ადგილზე, აზიური თურქეთის ახლო ტერიტორიაზე...")". ეს ზიანს აყენებს სომეხთა სულიერი განვითარების საქმეს და, რაღა თქმა უნდა, თვით კათალიკოსისა და სხვა იერარქიების ზნეობრივ პრესტიჟს.

როცა გარდაიცვალა კათალიკოსი მაკარი, მის შემდეგ ვერც ფული და ვერც ქაღალდი ვერ მოიძიეს. არის ეჭვი, რომ იგი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. ალბათ ასეთივე საშუალებებით გამოეთხოვა სიცოცხლეს არქიეპისკოპოსი იერემია, სომეხი ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი და, ამავე დროს, რუსეთის გულმხურვალე ერთგული.

სომხური საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია (სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა) გახლავთ ***დაჟინებით-აუცილებელი*** ზომა, არა მხოლოდ სომეხთა შორის სიმშვიდის განმტკიცებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ***სომხეთის ეკლესიას მიეცეს თავისი სულიერი წმინდა მისიის განხორციელების საშუალება და იგი განთავისუფლდეს სხვა განყენებული საქმეებისა და ოცნებებისაგან.*** (ეს სიტყვები ველიჩკომ დაწერა 1903 წლის მაისის მიწურულს, მისი უმაღლესობისაგან 12 ივნისის კანონის დამტკიცების შემდეგ სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის ქონების მართვის შესახებ – გამომცემელი). უფრო მეტად დაწვრილებითი ფაქტობრივი მონაცემები ამ საკითხზე შეიძლება ვიპოვოთ ამონარიდებით ბატონი ღ-ის სტატიიდან "სიმართლე საეკლესიო-საწმესო სკოლის დახურვის შესახებ", რომელიც დაიბეჭდა "დანართებში"). როგორც ქვემოთ ვნახავთ, სომეხი ხალხი, აღზრდის თვალსაზრისით, მიტოვებულია თავიანთი ხელმძღვანელობის მიერ. მას ხელოვნურად ტყვნიან, სწყვეტენ რა კაცობრიობულ კეთილგონიერებას.

ამაში ბევრად დიდი დანაშაული მიუძღვის მაღალ სომხურ სამღვდელოებას. ეჩმიაძინის აკადემია და ნერსეს-სემინარია, სხვა სემინარიებიც, იმდენადაა გადაჭედილი ახალგაზრდებით, რომ მათი კედლები დახეთქვაზეა, სამღვდელოება კი მეტწილად შედგება უბრალო, უმეცარი გლეხებისაგან.

სომხური საეკლესიო სკოლის ჩვენი სახალხო განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაყვანის ისტორიას მე შევეხები მოკლედ. სამინისტროს შესაბამისმა ორგანოებმა აღმოაჩინეს, რომ სომხური საწმესოს სკოლები, სომეხი ხალხის ყოველ ნაბიჯზე გამოვლენილი სურვილის საწინააღმდეგოდ, შეესწავლათ სახელმწიფოებრივი (ე.ი. რუსული) ენა, არა მხოლოდ ამუხრუჭებდნენ მოქალაქეობრიობის განვითარების ამ ბუნებრივ პროცესს, არამედ წარმოადგენდნენ თემობრივი ეროვნული განცალკევებულობის ყველაზე უხეში და ფანატიკური ფორმის მთესველებს.

აღარაფერს ვამბობ იმ სულელურ სახელმძღვანელოებზე, რომლებშიაც საუბარია ყბადაღებულ დიდ სომხეთზე და სომეხთა მსოფლიო მისიაზე – ცივილიზაცია შეიტანონ ყველა მეზობელ ქვეყანაში. ამ სკოლებში ავრცელებენ სპეციალურ რუქებსაც, რომლებშიც დიდი სომხეთი გადაჭიმულია ლამის ვორონეჟამდე, ხოლო დედაქალაქად გამოცხადებულია ტფილისი (ამგვარი წარმოსახვითი ქვეყნის რუქები, რომლებიც მე მინახავს კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველის კ.პ.იანკოვსკის კაბინეტში, ვრცელდებოდა არა მხოლოდ ძვირი ლითოგრაფიული სახით, არამედ, აბრეშუმზე ამოქარგულიც კი. ეს უკანასკნელი შესრულებულია ამ საქმისათვის სპეციალურად გახედნილი "მაზუთის დედოფლის" მიერ). აქვეა ყოველნაირი ემბლემები, რომლებიც იგივე ინტრიგებს ემსახურებიან და რომელთაც თავის დროზე მხარს უჭერდა ინგლისი, ახლა კი გერმანიზმის ერთ-ერთ საყვარელ პირმშოს წარმოადგენს, ვხმარობ სიტყვას "გერმანიზმი" და არა "გერმანიას", იმიტომ, რომ კავკასიაში ცხოვრობენ რუსეთის ქვეშმორდომი გერმანელები, ხშირად იმ მოსამსახურე კლასის წარმომადგენლები, რომლებიც სომხური ხრიკებისა და ოინების მხურვალე მხარდამჭერები და მფარველები არიან.

შესანიშნავმა ადგილობრივმა მოღვაწემ, კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილმა მზრუნველმა კ.პ.იანკოვსკიმ უშრეტი ენერგიის გამოყენებით მიაღწია განკარგულების გამოცემას, რომ ეს სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს შემადგენლობაში შეეყვანათ ისე, რომ მათ დაუტოვეს სომხური ენა და სომხური ღვთის კანონები. ***სომხეთის სამღვდელოება ამას არ დაეთანხმა და ნაჩქარევად დახურა სკოლების უმეტესობა,*** არჩია რა, ჰყოლოდა ხალხი სრულ სიბნელესა და უმეცრებაში, ოღონდ თავი არ დაეღწიათ ხელოვნურად თავსმოხვეული განცალკევებულობისაგან. უბრალო სომეხი ხალხი "კვნესით გამოხატავდა" მწუხარებას, ამასთან, აგიტატორები ავრცელებდნენ ***წინასწარ შეთხზულ სიცრუეს,*** რომ თითქოს სკოლები დახურეს რუსეთის მთავრობის მესვეურებმა და არა სომხური თეოკრატიის აგენტებმა. ჩვენი მოჩვენებით-ლიბერალური პრესა, რომლის შემოქმედთა შორის მოიძებნებოდნენ ბაქოელ ნავთობმრეწველ ბობოლათა მიერ სუბსიდირებული ერთეულები, გაძლიერებულად ავრცელებდნენ იგივე სიცრუეს საქმეში ჩაუხედავ რუს მკითხველ საზოგადოებას შორის. მიუხედავად ამისა, კავკასიის სასწავლო ოლქმა მოახერხა მთელი რიგი სკოლების თავის შემადგენლობაში შეყვანა, რომლებიც ამჟამად წარმატებით საქმიანობენ ახალ საწყისებზე.

სკოლებიდან სასწავლო ოლქის მფლობელობაში შესაბამისად გადავიდა სასკოლო ქონებაც, ე.ი. ***სკოლების რჩენის წყაროც და ინვენტარიც,*** რომლის გადამალვა ან მითვისება ვერ მოასწრო სომხურმა სამღვდელოებამ. ტფილისში ქონების მეპატრონეთა ცვლის მთელი პროცესი მიმდინარეობდა დიდი სკანდალის ფონზე, მთელი მოსახლეობის თვალწინ, სადაც სომხურმა სკოლებმა ვერ ჰპოვეს ფართო მხარდაჭერა, რათა აღწერისათვის აერიდებინათ და გადაემალათ მიჩქმალული ქონება (ამ სფეროდან კარგი ფაქტებია აღწერილი "დანართებში" მოთავსებულ ბატონ რ.პ-ს სტატიაში "მოგნინის სასწავლებელი", რომელიც 1898 წელს გამოაქვეყნა გაზეთმა "კავკასიამ").

რაც შეეხება სახსრებს (უძრავი ქონება და კაპიტალი), რაც სომხური სკოლების რჩენის საფუძველს წარმოადგენდა, აქ ადგილობრივი საქმოსნების მოხერხებულობამ და მოდავეობის უნარმა სასწავლო ოლქი საკმაოდ დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა – და ღვთის წინაშე წარმოჩინდა ბევრი ისეთი სიურპრიზი, რომლის მოლოდინიც კავკასიაში ყოველთვის უნდა გვქონდეს, როცა საქმე ეხება ნებისმიერი სახის სომხურ ქონებას. უეჭველი სასკოლო ქონების მეტ წილს ეკლესიისა და მონასტრების ეტიკეტები ჰქონდა დაკრული. წამოვიდა სასარჩელო განცხადებების ნიაღვარი, რომელთა ავტორები სომეხი ტერტერები იყვნენ, მხარს კი ყოფით პრობლემებში გაქნილი ებრაელური ადვოკატურები უჭერდნენ და ეს ადამიანები "დიდი სომხეთის" შვილთათვის დამახასიათებელი თავხედობით მოქმედებდნენ.

კავკასიაში სასამართლო პრაქტიკა ხშირად სწორედ სომხებს წყალობს: შეიძლება ისინი მართლაც ყოველთვის სუფთები და პატიოსნები იყვნენ, მაგრამ, შეიძლება ამას სხვა მიზეზიც აქვს, რომლის გამოკვლევაც მოგვცემდა უამრავ საინტერესო ფაქტს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმა მომრიგებელმა მოსამართლემ (თემირხან-შურაში) ისიც კი სცადა, რომ უწყებით თავის კამერაში მოეწვია სასწავლო ოლქის მხცოვანი მზრუნველი. კავკასიის სასამართლო დაწესებულებამ, რომელთა გადაწყვეტილებითაც რამდენიმე წლის განმავლობაში სანქციონირებული იყო სომეხი მტაცებლების მიერ სახაზინო მიწების დაუფლება, ამ საკითხშიც არ უღალატეს საკუთარ თავს და ძალიან ბევრი სადავო საქმეები გადაწყვიტეს არა კავკასიის სასწავლო ოლქის სასარგებლოდ. რიგი სარჩელებისა შეჩერებულ იქნა, ვინაიდან სასკოლო ქონების ერთი დიდი საქმე სენატამდიც კი მივიდა. მთავარი საკითხი იმაში მდგომარეობდა, საერთოდ ექვემდებარებოდა თუ არა ამგვარი საქმეები ადმინისტრაციულ ან სასამართლო განხილვას. სენატმა ამ უკანასკნელს დაუჭირა მხარი და, ამჟამად, ყველაფერი საშინლად აირ-დაირია და კავკასიაში შეიქმნა რუსული საქმისა და პრესტიჟისადმი ფრიად არახელსაყრელი გარემო (1903 წლის 12 ივნისის კანონმა ყველა გაუგებრობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი).

ამ გაუგებრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კავკასიაში დასაქმებულ სხვადასხვა უწყებებს არ გააჩნიათ ერთიანი სამსახურეობრივი დამოკიდებულება მთლიანი ეროვნული პოლიტიკისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილებზე გაიმარჯვებდა ის საღი აზრი, რომ სახალხო სკოლის საკითხი უფრო ***სახელმწიფოებრივი*** მნიშვნელობისაა და არა ვიწრო სამოქალაქო მასშტაბების მქონე. სკოლისა და ეკლესიის ქონების განსაზღვრისას, სასწავლო უწყება მოიპოვებდა საჭირო მხარდაჭერას ყველა წვრილმანის დასაზუსტებლად, ამასთან, ამ უკანასკნელს აღარ მიენიჭებოდა გადაჭარბებული მნიშვნელობა გერგილიან-ფორმალური ნიშნების სახით. სწორედ ეს ქვემძრომობა აღუძრავდა ადგილობრივ ხელისუფლებას იმის სურვილს, გზა მიეცათ დიდი ხნის წინ მომწიფებული და ღადაღისად ქცეული იმ საკითხისათვის, რაც გახლავთ ***სომხური საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია.*** ამის გადაწყვეტით, მრავალი ,ღვრიე წყლის ტალღა, რომელიც ახლა გამუდმებით გადადის კავკასიელთა თავებზე, თავის კალაპოტს დაუბრუნდებოდა.

ადგილობრივი რუსი ადამიანები, რომლებიც თანამგრძნობი ყურადღებით აკვირდებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის ინტენსივობის ამაღლების პროცესებს, ამ ცენტრალური უწყების შემოქმედებითი ინიციატივისგან მოელიან კეთილმოქმედ ზეგავლენას რუსული საქმის მორყეულ საფუძველზე, რადგან ამ საქმის შესუსტებას სახეირო არაფერი მოაქვს ამ შორეული და სიცრუეში გახვეული მხარისათვის.

*გაგრძელება იქნება*

# თეთრი საქართველოს შავი პერსპექტივა

ღმერთო შეგცოდე და მომიტევე იმისათვის, რასაც ახლა ვიტყვი!..

1989 წლის 9 აპრილს გაცილებით ბედნიერი იყო ქართველი ერი, ვიდრე 2007 წლის 7 ნოემბერს და 6 მაისს – გიორგობა დღეს. ალალად უნდა ვთქვათ, საბჭოთა სამხედროებისგანაც კი არ მოელოდა ხალხი იმას, რაც მაშინ მთავრობის სახლის წინ მოხდა, მაგრამ ხალხმა გვიან გაიგო, რომ მათ სამხედროებთან კი არა, **საქმე სპეციალურად გამოყვანილ და გაწვრთნილ ანტიადამიანებთან ჰქონდათ, რომლებიც უდედმამოდ, ურელიგიოდ და უსამშობლოდ იყვნენ გაზრდილი!**

ვერავინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ ქართველი ერის წიაღშიც იბადებოდნენ და იზრდებოდნენ ჩვენს მიერ **„სპეციალურად გამოყვანილ და გაწვრთნილად“** მონათლული, **მოადამიანო მუტანტები**, რომლებიც შესაფერის დროს და ასპარეზს ელოდებოდნენ მხოლოდ და ეს შესაძლებლობაც დაუდგათ მათ სააკაშვილის დიქტატურის პირობებში. არაერთგზის დაადასტურეს – **ოღონდ ფული გადაუხადე და ვერანაირი საბჭოთა სადამსჯელო ძალა ვერ გაუტოლდება.**

რა საჭიროა ცხრა მთას იქიდან ვიღაცის ჩამოყვანა, ოღონდ ვინმე მოსაკლავი იყოს და...

**„ჯვარი, ეკლესია და გიორგობა ჩვენ ვერ გაგვაჩერებსო!“**

როგორც ატყობთ, მაინც არის დღევანდელ ქართულ და საბჭოთა დროის **მუტანტებს** შორის მცირე განსხვავება, რადგან ამ უკანასკნელებს **„ჯვარი, ეკლესია და გიორგობა“** არ სწამდათ და ისინი თავისუფალი იყვნენ ამ პასუხისმგებლობისაგან!

სწორედ ეს ვნახეთ 6 მაისის ღამეს, ქალაქის პოლიციის სამმართველოსთან, სადაც სააკაშვილ-მერაბიშვილის **მუტანტებმა** პირნათლად შეასრულეს დანაფიცარი: **„ჯვარი, ეკლესია და გიორგობა ჩვენ ვერ გაგვაჩერებსო!“**

ჩემო ძვირფასებო, რატომ გვიკვირს ამის შემდეგ რაც მოხდა?!.

ამას წინათ, ჩვენი გაზეთის ერთ ნომერში მე ვწერდი:

*„...აქვე მინდა ვუპასუხო კითხვას, რომელსაც აუცილებლად დამისვამენ: სადღეგრძელო ხომ ჩვენი (მხოლოდ ქართველების!) ტრადიციაა და როგორ, ამაზე უარი ვთქვათ?”*

*- აქვე ვპასუხობ:*

***- არ უნდა ვთქვათ უარი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს – სამშობლოს სადღეგრძელო ომში გამარჯვებულთა, მისთვის თავგანწირულთა ღირსებაა და არა უცხოსთან სატრაბახო, როცა თითქმის ყველა ასეთი ომახიანი სადღეგრძელოს თამადის სამშობლო – საკუთარ ეზოში იწყება და ჭიშკართან მთავრდება. ბინის კარს იქით – უცხოეთია!***

*იქნებ იმაზეც დავფიქდეთ, საერთოდ აქვს კი, სადღეგრძელოს თქმის უფლება ხალხს, რომელიც:*

***– უხერხულობის გარეშე იტანს და ეგუება ქვეყნის მძარცველს და გამყიდველს და ამ გზით გადიდკაცებულთ, რომელთაც ამის გამო არასდროს საზოგადოებაში მორიდების გრძნობა არ გასჩენიათ და არც მომავალში გაუჩნდებათ?!“***

აქვე მინდა ბოლო აბზაცს დავამატო: ***...უდანაშაულო ხალხის დამსჯელ, პირველ რიგში, სააკაშვილის სადამსჯელო შეიარაღებულ ბანდიტებს!“***

უამრავი ვიდეო და ფოტოკამერით იღებდნენ პოლიციის სამმართველოსთან მიმდინარე აქციას. უამრავი არაკაცი იქნება გადაღებული, რომელთა სახეები ყველა საშუალებით უნდა წარედგინოს საქართველოს მოსახლეობას, რომ **როგორც კეთროვანებთან (მომიტევონ ამ სენით დაავადებულებმა, მე სულით ავადმყოფობას ვგულისხმობ მხოლოდ) შორს დაიჭირონ მათგან თავი და ისინი მოიკვეთონ საზოგადოებისგან!**

გუშინდელი საღამოს შემდეგ, ამ კატეგორიის ხალხთან ურთიერთობა, ცოდვასთან ერთად ბიძგია მათთვის, ახალი დანაშაულის ჩასადენად!

მათი ოჯახის წევრებს უნდა ახსოვდეთ:

**საკუთარი ხალხის დარბევაში აღებული ფულით ნაყიდი პური, ოჯახის და სულის წაწყმედაა და ასეთ ძღომას, შიმშილით სიკვდილი სჯობია!**

**ამიტომაც უნდა მოიკვეთონ ისინი საზოგადოებისგან!**

სამწუხაროა უცხოელების დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი. ჩემთვის ეს უცხო არ არის, რადგან უცხოეთი მე ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროიდან მახსოვს და როცა ვიხსენებ, თუ რა დიალოგებს მიმართავდნენ პირადად მე, იმდროინდელ ორივე გერმანიაში, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლების გამო. რა წინააღმდეგობებს ვაწყდებოდი და თითქმის ვერ ვამტკიცებდი, ჩვენს ქართულ ეროვნულ სიმართლეს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რა გასაკვირია, მათმა დღევანდელმა დესპანებმა ყოველთვის არსებულ რეჟიმს დაუჭირონ მხარი, მომიტინგე ხალხის საწინააღმდეგოდ.

იმდროინდელი ორად გაყოფილი გერმანიის არცერთ მხარეს არ ეჯერა საბჭოთა რეჟიმის დამხობის და ამიტომაც დაადგნენ ისინი პირველივე შესაძლებლობისთანავე კორუფციული გარიგების გზას, იმდროინდელ საბჭოთა იმპერიის თავკაც გორბაჩოვთან და მის **„ფოსტალიონ“** შევარდნაძესთან. ჩვენ ადრე ვწერდით, მათმა თავიანთ მიზანს კი მიაღწიეს, მაგრამ უზარმაზარ უბედურებას გადაკიდეს უამრავი პატარა სახელმწიფოები. სწორედ ამის შედეგად, ამ გარიგებაში მიღებული ქრთამით მოვიდა ედუარდ შევარდნაძე საქართველოს სათავეში და თავისი სატანური საქმის გამგრძელებლად მოგვიყვანა მისივე აღზრდილი, სულიერად ავადმყოფი მიხეილ სააკაშვილი.

გასაკვირი არ არის სააკაშვილს კვლავაც დაუჭირონ მხარი უცხოურმა დიპლომატიურმა სამსახურებმა, როცა დღესაც, განსაკუთრებით გერმანიაში არაიშვიათად, სამაგალითო პიროვნებად შევარდნაძეს გვისახავენ.

მახსენდება შარშან თებერვალში, საქართველოში გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მოგზაურობების შემდეგ ზუგდიდში გამართულ, საზოგადოებასთან შეხვედრისას ხმამაღლა გვასწავლიდა – **„მართალია სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მთლად საქართველო არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც საქართველოს ერთიანობას ვუჭერთო მხარს!“**

ხომ წარმოგიდგენიათ ცხინვალში ან სოხუმში რას იტყოდა ის ჩვენი მისამართით?

მე ფაქტს ვაფიქსირებ მხოლოდ. სულაც არ ვაპირებ მას ამისათვის პასუხი გავცე, მაგრამ სხვა საკითხს მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება:

როცა ქვეყანაში შეურაცხადი გიზის პირველ კაცად (ამის შესახებ უცხოეთში უკეთ და ადრე იცოდნენ ვიდრე ჩვენ!), რიგით მოსახლეობას რომ სერიოზულად არ შემოგვხედავენ, მოულოდნელი არ უნდა იყოს ჩვენთვის! მე არა ერთხელ მომისმენია ჩვენი ქვეყნის პირველი კაცის ირონიული დახასიათება ევროპის ქვეყნებში თუ ევროპარლამენტში შეხვედრებისას.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, უცხოეთში თითქმის არ ესმით ჩვენი თავგადაკლული ნოსტალგია ჩვენი გაგებით „**დაბადების ადგილებისადმი**“ და თუ აკრიტიკებენ და იშვიათად, მაგრამ მაინც ამტკუნებდნენ ჩვენი ქვეყნის პირველ კაცებს – ეს იყო ხალხის დაუსაქმებლობის გამო. სხვა მხრივ, თუ ხალხი დასაქმებულია, დაკარგული ტერიტორიებისთვის ბრძოლას ახირებად გვითვლიან .

შეიძლება ვინმე შემომედავოს – **მაშინ მადლობა უნდა ვუთხრათ შევარდნაძეს და სააკაშვილს, რომ სამუშაო ადგილების შესაქმნელად მოცემული ფული ჯიბეში რომ ჩაიდესო!**

გეთანხმებით, ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ ამ შემთხვევამ სხვა რამ გამახსენა: შინაც და გარეთაც სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ხშირად მახსენებენ – **შევარდნაძის დროს არაფერი კეთდებოდა, სააკაშვილის დროს რამდენი რამ გაკეთდაო!**

ყველას ვეთანხმები, უდავოა რომ ეს ნამდვილად ასეა, ოღონდ ერთი პატარა შენიშვნით: **შევარდნაძე თუ ასი ათასს იღებდა ქვეყნის ასაშენებლად და იგი ასივეს ჯიბეში იდებდა, სააკაშვილი მილიონს იღებს, ასი ათასისას აშენებს და ცხრაასს ჯიბეში იდებს!**

ეს განსხვავება უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც გონებას იტვირთავს იმის ანალიზით, ვინ რას აკეთებდა და აკეთებს დღეს ქვეყნის სასიკეთოდ. **ყველამ გაიხსენოს, ვინ რა იყო და ვინ რისი პატრონი იყო მათ ნაცნობებში ნაციონალისტების სამსახურში მოსვლამდე და რისი მფლობელები არიან დღეს?**

**ჩემო დებო და ძმებო, დავიხსნათ თავი კრიმინალურ-ქურდული მენტალიტეტისგან, გახსოვდეთ ქვეყნის მძარცველის და დამაქცევარის მხილება პატრიოტული საქციელია, თუ კი ამ ღირსებამ, როგორც დღევანდელი მთავრობის, ასევე თქვენს თვალშიც არ დაკარგა ფასი!..**

თორემ უსასტიკესი განაჩენია ჩვენთვის გამოტანილი, რომლის სისრულეში მოყვანის დაჩქარებისკენ მიჰყავს დღეს საქართველო მის კრიმინალ მმართველებს და ის შემდეგში მდგომარეობს:

– ადრე თუ საქართველოში ერთი უშიშროების სამსახური მუშაობდა, **კაგებეს** რომ ვეძახდით მას და ხანდისხან მაინც ვახერხებდით მისგან თავის დაძვრენას, დღეს ნურას უკაცრავად – ამას ვერ შევიძლებთ, რადგან, თურმე მათმა რიცხვმა დიდი ხანია ორმოცდაათს გადააჭარბა და ცხადია მათ ვერსად გავექცევით. ისინი სხედან სამთავრობო სტრუქტურებში, პარლამენტში, წარმოება-დაწესებულებები ჩვენ არ გვაქვს, ორღობეში და კიდევ ყველგან, სადაც კი ქვეყნის და ხალხის ფიქრის, მისწრაფების და გეგმების ამოცნობა შეიძლება. თურმე ამათმა დაითვალეს და დაადგინეს, რომ მხოლოდ **შევარდნაძის დროს 1995-დან 2003 წლის ბოლომდე საქართველოს ნასესხების, ნაჩუქარის, ნამათხოვრალის თუ ნაქურდალის სახით 12 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი მიუღია.**

შედეგი? **არცერთი სამუშაო ადგილი არ შექმნილა, ქვეყანაში არსებული მრეწველობის ყველა სფერო განადგურდა!**

სააკაშვილის მოსვლის შემდეგ – არანაკლები თანხები შემოვიდა.

შედეგი? **არცერთი ხანგრძლივი სამუშაო ადგილი არ შექმნილა, მრეწველობის არცერთი დარგი არ აღორძინებულა, რაც შევარდნაძეს გადადაურჩა ისიც განადგურდა!**

მოსახლეობის მისწრაფება ორივე პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში – **ყველაფრის ფასად დააღწიონ თავი საქართველოს და მიიღონ უცხოეთში გასვლის უფლება**. თურმე დათვლილია ისიც, რომ ამ უფლების მიღების მსურველი ხუთიდან, ოცი ათასამდე ამერიკულ დოლარს იხდის, მისთვის სასურველი ქვეყნის მიხედვით. ამისათვის მზად არიან გაყიდონ საკუთარი, მშობლების და წინაპრების დანატოვარი უძრავ-მოძრავი ქონება, ოღონდ გაადწიონ აქედან და სამუშაო იშოვონ!..

ცხადია ეს საკითხიც ზედმიწევნით კარგად შეისწავლეს უცხოეთის საიდუმლო სამსახურებმა და მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე:

**„1995 წლიდან მოყოლებული, ვერავითარმა ინვესტიციებმა ვერ უშველა საქართველოს, არცერთი სამუშაო ადგილი არ შექმნილა, კორუფცია დუღდა და დუღს ყველა მთავრობის და თაობის ხელში. ეს პატარა ქვეყანა, რომელიც განსაკუთრებულ სათვალავში მაინც და მაინც არავის ყავს, თავისი უსაფუძვლო ამბიციებით და საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენის მქონე ხალხით, მუდამ არასასურველ პრობლემებს ქმნის. მისი მოსახლეობის სამი მეოთხედი, ქვეყნიდან გასვლისკენ ისწრაფვის, ამისათვის ყიდის ყველაფერს, რაც კი გააჩნია, რომ იყიდოს ვიზა, არ ერიდება უცხოეთში არალეგალურად გასვლას. ქვეყანაში შეიძლება დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, უპატრონო ბავშვები და არასწორად აღზრდილები, რომლებიც პატრიოტებად იწოდებიან. თავი რომ დავაღწიოთ არასასიამოვნო ქართულ პრობლემას, ამისათვის საჭიროა ამ ხალხს გავუადვილოთ საზღვარგარეთ გასვლა, მაგრამ ამისათვის დავუწესოთ გარკვეული რაოდენობის თანხა, რომელიც თან უნდა ჰქონდეს უცხო ქვეყანაში ჩასვლის მომენტში. უფასოდ მიღებული ვიზის ხათრით ნებისმიერი გაყიდის საკუთარ ქონებას, სახლ-კარს და თვითონვე მოიხმარს ამ თანხას. ამ გზით ნავარაუდევია, რომ საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის (3-3,5 მილიონი) ნახევარზე მეტი დატოვებს საქართველოს და მოგვარდება გარესამყაროსთვის არასასურველი „ქართული პრობლემა“ კავკასიაში. საბედნიეროდ, ისინი იმდენი არ არიან, რომელიმე კონტინენტზე ან ქვეყანაზე რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ. საყურადღებოა, რომ მათ უცხო ქვეყნებში ერთად კომპაქტურად დასახლება არ უყვართ!“**

ეს არის სწორედ ის ტრაგიკული გეგმა საქართველოსათვის, რომლის ბოლომდე მიყვანისთვის არ დატოვებს (არც დატოვებინებენ!) სააკაშვილი პრეზიდენტის პოსტს, რადგან იგი ამისათვის იქნა თავის დროზე აქ მოყვანილი!

ტრაგედია მარტო საქართველოს მოსახლეობის განახევრებაში არ არის, ის ნახევარი ვერასოდეს დაუბრუნდება სამშობლოს, როცა ის იმდენ ფულს დააგროვებს, რომ უკან დაბრუნების სურვილი გაუჩნდება, იმ თანხით ვერაფერს შეიძენს ყოფილ სამშობლოში, რადგან იქ ყველაფერი გაყიდული და მამასისხლად ღირებული დახვდება.

ისმება კითხვა: განახევრებული მოსახლეობით როგორ იარსებებს ქვეყანა? სწორედ აქ იწყება ყველაზე დიდი უბედურება – **დაგეგმილია, უცხოეთში გასული მოსახლეობის ნაცვლად ფერადკანიანების ჩამოსახლება, რომლებიც ყველაზე თვინიერ და უპრეტენზიო შინამოსამსახურეებად მიიჩნევიან. ერთი ჩემი ძველი ნაცნობი გერმანელის, რაინერ კაუფმანის (წლების განმავლობაში ეწეოდა კულინარულ და ტურისტულ საქმიანობას საქართველოში) სიტყვებით რომ ვთქვათ – „მათ, ქართველებივით, არც გასვენება და ქორწილები მოაცდენთ და არც ორმოცები და წლისთავებიო!..“**

დააკვირდით ინტერნეტსაიტებზე უცხოეთის დიპლომატიური სამსახურების ინფორმაციებს, ისინი საქართველოში ჩამომსვლელ საქმიან წრეებს არ ურჩევენ (თუ კი ის სპეციალური პროგრამა არ არის) ქართველებთან ურთიერთობას – **ჯობს ფერადკანიანს რამდენიმე ასეული დოლარით მეტი გადაუხადო, ვიდრე ქართველის პრეტენზიები მოისმინოო!**

ეს არის რეალური, რაც ჩვენთვის დაგეგმილია და ამის ფონზე ზოგიერთი მსუბუქადმოფიქრალი ქართველის წუხილი **„ჩინელებმა გადაგვჭამესო“**, ამ ბოლო დროს დამკვიდრებული ჟარგონის არ იყოს **შემოგდებულია!** თუ ეს ყველაფერი განხორციელდა, **ჩინელი სანატრელი იქნება შავი მეტალიკი ფერის მიგრანტებთან შედარებით. ჩინელს დაინათესავებ კიდეც, მაგრამ ჩვენთვის უცხო ფერს რამდენად შეეგუები?!.**

ერთხელ მიუნხენიდან მოვფრინავ თბილისში. ლუფტჰანზას მოსაცდელ დარბაზში ავიაკომპანიის სარეკლამო **„უფასო“** ყავას მივირთმევდი, როცა პატარა ბავშვის სასიამოვნო, მკვეთრ გურულ აქცენტზე საუბარი მომესმა. მოვიხედე და ასევე მკვეთრ გურულ აქცენტზე მოსაუბრე დედიკოს მოყავდა შავი ხუჭუჭთმიანი ზანგი ბიჭუნა, გაოცება ვერ დავმალე! არც ქართველ დედიკოს გამოპარვია ეს და მაშინვე გერმანულად დაუწყო ბავშვს საუბარი, მეც ორიოდ სიტყვა შევაწიე გერმანულად და დედაც დამშვიდდა...

ანაზდად 2005-ში ბრიუსელში მოსმენილი, საქართველოსთვის გამოგონილი გეგმა გამახსენდა და თვალწინ წარმომიდგა ხუჭუჭთმიანი, ფერად-ფერადი პატარებით მოფენილი საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი... ყველაფერი წამში აირია, კინოკადრივით თვალწინ გამირბინა ჩემი სამშობლოს ბოლო ოცმა წელიწადმა.

9 აპრილის წინა დღეების რუსთაველის პროსპექტი, მთავრობის სახლისკენ მიმავალი დაწყებითი კლასის ბავშვების კოლონა, სახელდახელოდ, სახლებში შეკერილი ქართული, ეროვნული დროშებით ხელში და მათი შეძახილები – **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!..“** სიხარულის ცრემლები...

9 აპრილის სისხლიანი დილა, კომენდანტის საათი და მთავრობის სახლის წინ დახოცილთა ძებნა თბილისის საავადმყოფოებში... გლოვა, ვარდებით და მიხაკებით მოფენილი მთავრობის სახლი და რუსთაველის პროსპექტი...

და თითქოს, სადღაც შორიდან მოგუგუნე ხმაც მომესმა:

**– საქართველო გაბრწყინდება!..**

ამასობაში თვითმფრინავში ჩასხდომაც გამოცხადდა. ჩემს უკანა რიგში მოხვდნენ ჩემი ნაცნობი დედა შვილი. ბავშვს სანთებელა ეჭირა ხელში და თამაშობდა. ნათლად ეტყობოდა **„ქართული აღზრდა“**, ხან რას დაუპირა ცეცხლის წაკიდება ხან რას და ბოლოს მე მომადგა, დედამის ეკითხება – **ბიძიას წუუკიდო?..**

ვიდრე დედა გაუწყრებოდა და სანთებელას წაართმევდა, გადავხედე, თითქოს ვერ გავიგე რა მითხრა და გავუღიმე...

რასისტი არ ვარ, უფალმა ყველას თავისი ფერი და წეს-ჩვეულება დაუწესა და ყველას პატივს ვცემ, მაგრამ მე ცეცხლის წაკიდება ნამდვილად არ მჭირდებოდა, რადგან იგი უკვე საკმარისად ღვიოდა ჩემს გულში...

**საქართველო ოდესმე მართლაც გაბრწყინდება, მაგრამ მე იგი ქართველებთან ერთად მინდა გაბრწყინდეს!..**

დასასჯელი თუ ვარ ამისათვის, უფალმა შემრისხოს მაშინ!..

## ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

## ბულათია

### დანიელ ფიფია

*თაქი მუუკამც თე ამბერდ*
*პატონ სქუა მინდორც რდ,*
*გეხედ ვარყა ჭკადგშიგ –თარჩიასგ*
*გილართგდგ,*
*ქიკლაკინდუ ღაჭალ ყუჯი,*
*გოურქიუ დიდაყურე,*
*ქოძირ: ნჯარი ქუგუბარგგ*
*ბულათია შქას ქაშურე;*
*ყამას იქილინუანც,*
*ფერი გეურაყგ არძოშა;*
*წიაკალი ვაბედ მეულასგ*
*იში სარჩო-გახოშა.*
*ქოძირგდო ხათეხოლო*
*თექი მიშე გოურქიუ,*
*ჭკადგს დუცუ ქგმნადირთგ*
*მათრახი მოთინ, მოურქიუ,*
*ცხენცგ ქურსი ქიმიოგგ*
*კგდრი ქაქამინაფუ,*
*ჰაერ გოჭკირ ღვედიშ წვანდქ*
*ჟიფაფი აყარებაფუ.*
*ჭკადუქ განიშე დოუსხაპუ,*
*უგინალო, აკაწუნცუ,*
*თოფი კენტურო მოურქიუ*
*პატგნცგ ქახირცქგ კოპე დუცუ;*
*გურქ წურთ, თოლც ქაწარუმუ,*
*ქუდიშორო ქიგგთოლგ*
*ჭკადუგქ ცხენც ქუმნალგ,*
*მერქაცალო წგმი ქოლგ;*
*ცხენქ სადიო მიანებ,*
*ქიგიოკიჟინ, ქიგიორშვილ,*
*კვანჩგქთი ქიმუხვადგ*
*მი გეხენი ქიჩინ,*
*მოთინ კისერ რაშიშორო,*
*მეთხირინგნცგ, მიიქანჩგ,*
*კოჩი ართიანც ქგმნაფორჩ,*
*აკორაყგ, აკოფაჩგ.*
*დიხას კუჩხის ვაუნჭანცგ*
*ვაჭიშუანც შურდგგმილიფერდის*
*დგკი მიჟუმინგ*
*თეში მუჭო შქურდუმინი.*
*თქუა მინჯეშ გაჭირება*
*ცხენცგთი ტანქ ქოუგინგ.*
*ჭკადუგქ გენჩურ ჭენიწყარი,*
*მეფურინგნცგ, მიშხურგინგ.*
*პატგნსქუა დუც ოსხუპუ*
*"ვავა ვავას" კიჟინგნცგ;*
*გურიელხე ხანგას ქოგ*
*რჩხვიანცგ დო ღიჟინგნცგ;*
*მუკოფუნალც გისოფანც,*
*კგდგრც იტყაბარუანცგ.*
*ჯალაბიქთი ქიგშაკურცხუ*
*გასორებულქ ართი შვანც.*
*ეკოთხოზგ ჭკადგს არძა,*
*ტაბაჩემცგ ოყოთანა.*
*ბულათია ანწი შორცგრე*
*ტყვიას ტყურათ ოყოთანა.*
*კვარიაში დუდიზგმა მოჩქგ*
*ანწი ყოთამა მუს გურცუ;*
*გურიელხე მეტი ვარე*
*გინმახორცქ მუში გურცუ.*
*თხოზინც ზეთიქ ვეიშერაყგ,*
*მათხოზინემქ ოკიფაჩ,*
*მითი აიშა ზურა რდუნი*
*შხვაში უმოსის იტაბაჩ.*
*პატგნი იშხანცგ, იგორაფუ,*
*თითო თითო არძას ქაჩგ,*
*თვალნცგ, ინგარცგ, ითაკარგ,*
*წგმისოფუ, წგმიქანჩგ*
*თეზგმოთი, თე ჭგმოთი*
*ვამიჩქგ იყიდგ მუსხი ხანცი,*
*მარას უცბას ოკიმუნუ,*
*დიჭყგ გურგინი, ვალი, ტყვაცი.*
*ცაში ნოტეხი გიმე მურცუ,*
*ჭვიმა მურცუ უმუხარცქი*
*დო მერქაში მამალას*
*ვეპალუდუ კოჩიში ხვანცი.*

*ეს ამბავი აქ რომ იყო*
*მჭედლის ულაყს შემომჯდარი*
*მინდვრად ვაჟი გაჭრილიყო,*
*იქ დაჭროდა როგორც ქარი.*
*როცა მოკრა ჩოჩქოლს ყური,*
*დედისაკენ გამოქანდა;*
*ნახა: მტრულად შეჯარულში*
*ბულათია შუა მდგომი,*
*ხანჯალს იქნევს უზოგარად,*
*ირგვლივ ყველა უოტნია,*
*გაუბედავს ვერვის ომი.*
*იხილა და მაშინათვე*
*ცხენს ხმამაღლა შეუძახა,*
*მჭედელს თავზე წამოადგა*
*და მათრახიც ზე აღმართა.*
*ცხენს ქუსლი ჰკრა უზოგარად,*
*მკერდით ზეზე წამომართა,*
*იშხუილა ღვედის წვერმა*
*მაგრამ ვეღარ გაუმართლა.*
*წამს უგანა ბულათიამ*
*წაუხდინა ზაფრა ნიშანს.*
*თოფი კეტად მოუქნია*
*ბატონს მაგრა თავში თხლიშა.*
*უცებ გული წაუვიდა,*
*ძირს ქუდივით ჩამოვარდა,*
*მჭედელი ცხენს შემოახტა,*
*წინ გაქანდა მისი ვარყა.*
*ცხენს აღვირი მიანება,*
*შეუყვირა, ზედ დასტვინა.*
*კვანჩამაც პატრონს გაუგო*
*მიხვდა ზურგზე აზის ვინა,*
*რაშად კისერწადერილი,*
*მიფრუტუნებს, მიქრის წინა.*
*კაცნი ერთურთს მიანარცხა.*
*გვერდი-გვერდზე მიაწვინა.*
*მიწას ფეხებს არ აკარებს,*
*ვერ ეწევა მას სულდგმული,*
*თავდაღმართში მიშხუილობს,*
*ასე რიგად ვით შურდული.*
*სჩანს პატრონის გაჭირვება*
*ცხენსაც ტანმა რომ უაზრა,*
*ჭანისწყალი გადაფონა,*
*ფრინავს, კვლავაც მოშხუის.*
*ვაჟბატონი ვეღარ დგება*
*ისევ ვაის ყვირისა,*
*გურიელხე გაგიჟებით*
*ჩხავის, ბღავის, კივისა,*
*ტანთ სამოსი დაიგლიჯა,*
*მკერდის ხოკით ტირისა.*
*აქ ჯალაბიც გონს მოეგო,*
*შეცბუნებით რომ იყო,*
*გამოენთო მჭედელს ყველა*
*დამბაჩების სროლითა.*
*ბულათია შორს გაიჭრა,*
*ტყვია ვეღარ მიწვდება,*
*ჩიტის თავად ოდნავ მოჩანს,*
*ბათქი-ბუთქი რას გახდება.*
*გურიელის ამაყ ასულს*
*ნერვი მეტად აეშალა,*
*დევნით ზეთი არ გამოდის*
*ხალხი უკვე დაიშალა.*
*რა ქნან, აბა რა იღონონ,*
*ახლა მშველელს ვისღა უხმონ.*
*თუმც ვინც მეტად კანკალებდა,*
*ყველაზე მეტს ბაქიბუქობს.*
*ქალბატონი ვერ ისვენებს*
*ყველას მიმართ იკბინება*
*ანთხევს ენის მდუღარებას,*
*იყეფება, იღრინება.*
*ეს ხმაური შესაზარი*
*გაატანდა ალბათ ერთხანს,*
*მაგრამ უცებ მოიბურა,*
*ელვას ერთვის მეხთატეხა.*
*ცის ნატეხი ქვემოთ მოდის,*
*თითქო იწყო წარღვნა სრული.*
*წამში ყველა გაიფანტა,*
*არსად მოჩანს კაცის სული.*

# მ ა ფ ა ლ უ

**პავლე აკობია სტეფანე გაგუას შესახებ.**

მე მადლობას ვუძღვნი აწ განსვენებულ მღვდელ ვასილ ჯგუშიას, რომელმაც მე დამასწავლა ქართული წერა-კითხვა... მადლობას ვუძღვნი სტეფანე დავითის ძე გაგუას, რომელიც ჩემი იქ ყოფნის დროს, ზუგდიდის ორკლასიანი სკოლის გამგედ იყო. თუმცა სკოლაში ქართულს არ გვასწავლიდნენ, მაგრამ დიდი გავლენა იქონიეს ბატონ გაგუას სიტყვებმა ჩემზე და ზოგიერთ ჩემ ამხანაგზე... მე ძლიერ მაწუხებდა ის, რომ ჩვენმა ამხანაგებმა არ იცოდნენ ქართული და თუ ზოგიერთებმა იცოდნენ, არ ეტანებოდნენ ქართულ წიგნებს...

ქართული წიგნის კითხვამ იმდენად შეგვაყვარა ჩვენ საქართველო, რომ მზად ვიყავით ყოველ წამს ვწამებულიყავით იმის სასიკეთოთ, მზად ვიყავით შეგვეწირა თავი, ოღონდ გამხდარიყო საქართველო თავისუფალი, განათებული და მხიარული... ჩვენ მაშინ არ გვაკმაყოფილებდა მარტო პოლიტიკური თავისუფლება ქართველი ერისა, – არა, ჩვენი წადილი იყო, რომ ის პირები, ის კაცები, რომლისგანაც შესდგება ერი, გამხდარიყვნენ თავისუფალნი და ბედნიერნი...

**კომენტარი**: პავლე აკობიას მიერ სტეფანე გაგუას დახასიათებიდან, რომელიც **"მაფალუს"** და სტეფანე გაგუას წინააღმდეგ ყალბი ბრალდების შეკოწიწებამდე დიდი ხნით ადრე დაიბეჭდა, მოწმობს სტეფანე გაგუას სიმართლეს. სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ პავლე აკობია ანტისაბჭოთა ოპოზიციის პატრიოტია, ხოლო სტეფანე გაგუა ანტისაბჭოთა მებრძოლ და კოლეგების მიერ პატივსაცემ, ღირსეულ პიროვნებად ფასდება. ეს კიდევ უფრო აძლიერებს მის მიმართ წაყენებული ბრალდების უსაფუძვლობას.

**სოლომონ ზალდასტანიშვილი სტეფანე გაგუას შესახებ**

"მთელი საქართველო დაიყო სამოქმედო რაიონებად... სამეგრელოში (1924 წლის აჯანყების – გ. ციციშვილი) ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები იყვნენ: გენერალი თოფურია, ნოტარიუსი მიხეილ გვალია, შალვა კალანდარიშვილი (დამკომის რწმუნებული), ფოთის გიმნაზიის დირექტორი სტეფანე გაგუა, როტმისტრი დავით მხეიძე და სხვა".

**კომენტარი:** სოლომონ ზალდასტანიშვილი იყო 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორი პარიტეტული კომიტეტის თბილისის განყოფილების **"დამკომის"** წევრი, ანტისაბჭოთა ემიგრანტული ბრძოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ფოთის არქივში დაცული მოკლე ენციკლოპედიური ცნობარი გვაუწყებს, რომ სტეფანე გაგუა დაიბადა 1860 წელს სოფელ აბედათში. გარდაიცვალა 1926 წლის 21 თებერვალს ქალაქ ფოთში. მუშაობდა ზუგდიდის 2-კლასიანი დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველად. ფოთში იგი 1917 წლიდან მუშაობდა. იყო ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და მასწავლებელი. სტეფანე გაგუა ფოთელმა მასწავლებლებმა 1925 წელს აირჩიეს პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატად. გაგუა წერდა ლექსებს და მოთხრობებს, აგრეთვე კრებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს...

**ჩეკას ინფორმაციული ამონარიდები მიხეილ კანკავას შესახებ**

დაიბადა 1900 წელს, სწავლობდა ფოთის გიმნაზიაში. 1918 წლიდან მასწავლებლობდა სენაკის მაზრის, თბილისის და მანგლისის სკოლებში. 1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1929 წელს დააპატიმრეს მანგლისში, რადგან 1924 წელს ეწეოდა არალეგალურ მუშაობას. მას ბრალდება, რომ 1925-1926 წლებში მოწოდებები დააგზავნა, რომელთა სახელწოდებაა **"ყველა ქართველ მოღვაწეს"**. დადგინდა, რომ მან ეს მოწოდებები დაუგზავნა ფ. გოგიჩაიშვილს, გ. ნიკოლაძეს, ტ. ტაბიძეს, კ. გამსახურდიას, პ. ინგოროყვას, ს. დადიანს, გ. ქიქოძეს, კ. ჭანტურიას, ი. ტატიშვილს, ბ. ჟღენტს, შ. ნუცუბიძეს, გრ. რცხილაძეს, მიხ. ჯავახიშვილს, ს. დანელიას და გრ. რობაქიძეს, აგრეთვე ყაზბეგის სკოლის გამგეს სევ. ცინცაბაძეს.

მოწოდება ადრესატებს ამცნობს, რომ 1925 წლიდან ამოცანად ისახება ყველა ოპოზიციური ნაციონალური პარტიებისა და ძალების გაერთიანება, მათი იდეური და ტაქტიკური მოქმედების მთლიანობა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სრული თავისუფლებისათვის ბრძოლა.

# საზოგადოებამ ხელისუფლებას წითელი აუნთო

ბოლო რამდენიმე დღეა, თბილისის ქუჩებში პლაკატები გაჩნდა წარწერით – „რატომ“? ითქვა, რომ 26 მაისის მოახლოებასთან დაკავშირებით, ეს იდეა ხელისუფლებას ეკუთვნოდა, თუმცა, არსებობდა მოსაზრება, რომ ეს ოპოზიციური სპექტრის შემოქმედების ნაყოფი იყო. როგორც გაირკვა, იდეა **„რატომ“** ახლად შექმნილ ორგანიზაციას – **„სამოქალაქო წინააღმდეგობა რატომ“** – ეკუთვნის, რომლის დამფუძნებლებიც არიან: მერაბ ჩიკაშვილი, დათო ფაცაცია, ირაკლი კორძაია, ნათია ქობალია, ლუკა წულაძე და ზურა ქადაგიძე. **"ილორი"** ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს მერაბ ჩიკაშვილს ესაუბრა.

– რა გახდა თქვენი მოძრაობის შექმნის მიზეზი?

– საზოგადოებაში პროტესტმა კულმინაციას მიაღწია. ქუჩაში ნებისმიერი ადამიანი რომ გააჩეროთ, უამრავ შეკითხვას დასვამს, რაც ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებს ეხება. სწორედ აქედან მოდის ჩვენი იდეა და ორგანიზაციის მთავარ სლოგანადაც ამიტომ იქცა კითხვა – რატომ?! უმთავრეს შეკითხვებზე ხელისუფალთაგან ტყუილი პასუხები კი არ უნდა ვისმინოთ, არამედ თითოეულმა მათგანმა პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის გამო.

– თავად თუ გაქვთ პასუხი შეკითხვაზე **„რატომ“**?

– რა თქმა უნდა, ჩვენი უმთავრესი პასუხია „იმიტომ“! რადგან ამ ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღარ უნდა იყოს. აქვე გეტყვით, რომ ჩვენ თითიდან გამოწოვილ თემებზე არ დავსვამთ შეკითხვებს და იმაშიც დარწმუნებულები ვართ, რომ პასუხს ვერც ერთი ჩინოვნიკი ვერ გაგვცემს.

– როგორია თქვენი გეგმები?

– ჩვენი ერთადერთი იარაღი სამშვიდობო პროტესტი და პოსტერებია, რომლებიც კვლავაც გამოჩნდება ქალაქში. პოსტერს **„რატომ“** მოჰყვება ლოგიკური გაგრძელება.

– თავიდან ქალაქში ამ პოსტერების გამოჩენამ ერთგვარი გაურკვევლობა გამოიწვია....

– რომ არ დაგიმალოთ, ჩვენი მიზანიც ეს იყო... უნდა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაცია და იცით, რატომ? – იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილი მშვიდობიანი გზით ჩამოვაცილოთ ხელისუფლებას. კითხვა, რომელიც ჩვენ დავსვით, დააფიქრებს საზოგადოებას, თუ რატომ ვართ ასეთ მდგომარეობაში. როგორც ხედავთ, ფერებიც ისეა შერჩეული, რომ საზოგადოების ყურადღება მიიპყროს და ვფიქრობ, მიზანს მივაღწიეთ. გაჩნდა კითხვა, ვის ეკუთვნის ეს წითელი კითხვის ნიშანი? ჩვენი სურვილია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპასუხოდ არც ერთი კითხვა არ დატოვონ. ეს არ არის ის წითელი ბარათი, რომელსაც სპორტსმენებს უჩვენებენ, ეს საზოგადოების მიერ ხელისუფლებისთვის ნაჩვენები წითელი ბარათია!

– ფიქრობთ, საზოგადოებამ ხელისუფლებას **„წითელი აუნთო“**?

– რა თქმა უნდა! მართალია, ეს ცოტა ადრე მოხდა, მაგრამ 7 ნოემბრისა და აგვისტოს მოვლენების შემდეგ საზოგადოების პროტესტმა პიკს მიაღწია.

– რა კითხვებს დაუსვამთ, თუნდაც, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ხელისუფლებას?

– კითხვებზე, რომლებსაც ჩვენ ვსვამთ, კარგა ხანია, ხალხი ხელისუფლებისაგან პასუხს მოელის:

რატომ მოკლეს სანდრო გირგვლიანი? რატომ მოკლეს როინ შავაძე? რატომ დახვრიტეს ბუტა რობაქიძე?.. რატომ ხვრეტენ ქუჩაში ადამიანებს? რატომ ხდება ქონების უკანონოდ ჩამორთმევა? რატომ იყო დაკავებული ხელისუფლება საკუთარი ოჯახების აზერბაიჯანში და უცხოეთის სხვა ქვეყნებში ევაკუაციით მაშინ, როცა გორში მშვიდობიანი მოქალაქეები იღუპებოდნენ?..

გაიხსენეთ პარლამენტის შეშინებული თავმჯდომარის დავით ბაქრაძის სამარცხვინო გამოსვლა – აიღეთ ქვაბი, ცოცხი, ტაფა და რუსეთს ეომეთო... ერთი თვის მერე ეს კაცი გმირი ხდება, ჩვენ კი ლაჩრებს გვიწოდებს. რატომ, ძმაო?!.

რატომ ხდება ადამიანების ინტერესების უგულებელყოფა?! რატომ რჩებიან დევნილები ქუჩაში? რატომ ყიდიან ეროვნულ ინტერესებს?..

ყველა ამ დანაშაულისთვის ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს – უპირველესად კი, მიხეილ სააკაშვილი, რაც შეიძლება მალე და მშვიდობიანად წავიდეს საქართველოდან!

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

საერთო მეგობრები, ძმისაგან გასარჩევად, მიხეილს ეძახდნენ **"მშვიდობიან კოლუბიაკინს"**, ხოლო ნიკოლოზს, დიდი ხანია, დაერქვა მეტსახელად **"მოჩხუბარი"**. მისი სიცხარის შესახებ აუარებელი ანეკდოტი დადიოდა ხალხში; ამბობდნენ, ერთხელ გაცხარების დროს, მთელი სამელნე დაასხა მოხუც მოხელემომხსენებელს მელოტ თავზე, მაგრამ მაშინათვე მიხვდა, რაც ჩაიდინა, და ზევიდან გასამშრალებლად საქვიშედან ქვიშა მოაყარა. და სანამ მცირე ხარისხის ოფიცერი იყო, იმდენჯერ ჰქონია დუელი, რომ ყველა დუელი თვითონაც უჭირდებოდა მოეგონებინა. ეს მისი სიფიცხე იმდენათ ხელქვეითებისთვის არ იყო საგრძნობი (ხელქვეითები აფასებდნენ მის კარგ თვისებებს და ადვილად ითმენდნენ მის ნაკლოვანებას), რამდენად მის უშუალო უფროსებისთვის იყო. სამსახურში სხვების წინწაწევის ჟინი ისეთი ჰქონდა კოლუბიაკინს, რომ ზოგჯერ არ ერიდებოდა სამსახურისთვის თავის დანებებასაც კი. სწორედ ასეთი ამბავი დაემართა სოხუმში.

მთელის სანაპირო ხაზის მენავეობას განაგებდა ადმირალი სერებრიაკოვი. ეს იყო მშვიდობიანი, ტკბილი სიტყვის პატრონი კაცი, გულისმოსვლა ძნელათ იცოდა. როგორც სომეხი, ყოველთ უწინარეს თავის პირად ინტერესებისათვის ზრუნავდა, ყოველთვის ხელს უშლიდა კოლუბიაკინის თაოსნობას და ბოლოს იქამდე მიიყვანა, რომ კოლუბიაკინი საშინლად გაცხარდა, მასთან ლაპარაკში თავდაჭერის ყოველ საზღვარს გადავიდა, ამის შემდეგ სოხუმიდან უნდა აბარგებულიყო და ტფილისის მთავარ შტაბს მიეწერა. ეს ამბავი სწორედ ყირიმის ომის გამოცხადების და კავკასიიდან ვორონცოვის წასვლის წინ მოხდა. თითქმის ორი წელიწადი იყო კოლუბიაკინი უადგილოდ და მხოლოდ 1856 წელს, როცა ომერ-ფაშამ სამეგრელოდან უკან დაიხია, მეფის ნაცვალმა, მურავიოვმა, დანიშნა ქალ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად.

ამ ადგილზე იგი უკვე ერთი წლის მისული იყო, როცა ჩვენ სცენაზე გამოვიყვანეთ ჩვენს მოგონებებში და ამ ხნის განმავლობაში იმდენი სარგებლობა მოუტანია მისდამი რწმუნებულ გუბერნიისადმი, რომ მის სახელს დღემდე მოიგონებენ. ყირიმის ომის შემდეგ გუბერნია საშინლად აწეწილ მდგომარეობაში იყო. ომის დროს ყოველი საქმიანობა შეჩერდა და აუარებელმა საქმემ მოიყარა თავი; გადაუხდელი ვალები გაიზარდა, გლეხები განადგურებულნი იყვნენ ნატურალურ ბეგარით, მებატონენი ისწრაფოდნენ თავიანთი საქმეები თავის ქვეშემრდომების ხარჯზე გამოეკეთებინათ. ერთის სიტყვით, ყველგან არეულ-დარეულობა სუფევდა და უნდა გენახნათ, რა მხნედ შეუდგა კოლუბიაკინი ყველაფრის შეკეთებას. ცხენით, თავის სამგზავრო კანცელარიანად, გასწევდა ხოლმე გუბერნიის შემოსავლელად კიდით-კიდე, რევიზიას უკეთებდა სამაზრო პოლიციას და ასამართლებდა ყველას, **სეანცე ტენანტე**, დაუყოვნებლივ, იმ უფლებით, რომელიც მას მოცემული ჰქონდა. ხანდახან ამ უფლებას გადაამეტებდა კიდეც, მხოლოდ ეს გადამეტება ხალხის სასარგებლოდ ხდებოდა; უფლების გადამეტება იქა სჭირდებოდა ხოლმე, სადაც სწრაფად უნდა აელაგმნა ფეოდალური ძალა-უფლება მსხვილი თავად-აზნაურობისა. ასე მაგალითად, ერთხელ გურიაში რომ დადიოდა, იქ დახვდა ერთი მემამულე, თავადი დიმიტრი გურიელი, რომელსაც რაც უნდოდა იმას სჩადიოდა, ყველაფერი შერჩებოდა. კოლუბიაკინის გამოვლის დროს უამრავი გლეხობა, მისგან განაწყენებული, გუბერნატორს დახვდა და უჩივლა გურიელს. კოლუბიაკინმა იცოდა, რომ მომჩივანები მართალნი იყვნენ. თავადთან თავისი მოხელე გაგზავნა, თან გაატანა თავისი საათი და დაავალა: ყურში უჩურჩულე, თუ ორ საათში არ დაუკმაყოფილებია მომჩივანნი, იცოდეს, გურიიდან ავბარგავო. გურიელმა იცოდა, რომ კოლუბიაკინს ხუმრობა არ უყვარდა და მაშინათვე ყველანი დააკმაყოფილა, და ორ საათს უკან იგივე გურიელი, თითქოს აქ არაფერი ყოფილაო, კოლუბიაკინის წინაშე იყო ატუზული, ვითომ ბატკანივით მშვიდი და უწყინარი. პირდაპირ სასწაული მოხდა. ყველანი დარწმუნდნენ, რომ ფეოდალის თავგასულობას ხელად ამოსდეს ლაგამი, და კარგი ლაგამიცო.

ამ ენერგიულმა და დაუმაშვრალმა მოქმედებამ, აღმაღლებულის მიუკერძველობით აღსავსემ, კოლუბიაკინს სახელი გაუთქვა ადგილობრივი საზოგადოების და ხალხის ყველა კლასს შორის. **"გიჟია, მაგრამ სამართლიანი კაციაო"**, ამბობდნენ კოლუბიაკინზე, ხოლო გლეხები პირდაპირ მის მზესა ფიცულობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მათ თავს არავის დააჩაგვრინებდა.

საინტერესო იყო კაცს თვალყური ედევნებინა იმ მუშაობისათვის, რომელიც სწარმოებდა გუბერნატორის სახლში, დილით ადრე, დაწყებული გვიან საღამომდე. ყველას შეეძლო მასთან მისვლა, ისმენდა ყოველდღე ასობით მასთან მისულების თხოვნასა და საჩივარს; საქმეების უმეტეს წილს მაშინათვე გაარჩევდა და გადასწყვეტდა. პოლიცია მასთან სულმუდამ ფეხზე იდგა, ფხიზლობდნენ მისი სხვა საგუბერნიო დაწესებულებანიც; ყველას ეშინოდა მისი, იცოდნენ, რომ მასთან ეშმაკობა არ გაუვიდოდათ, ყველაფერს გაიგებდა. ომს შემდეგ არეულ-დარეულ და დანგრეულ მხარეში, როგორიც იყო ქუთაისის გუბერნია, ამაზე უკეთესის გუბერნატორის შოვნა შეუძლებელი იყო.

მუდმივმა პრაქტიკამ ნიკოლოზ კოლუბიაკინი დაახლოვებით გააცნო ამ მხარის განსაკუთრებულ სოციალურ წეს-წყობილებას. გაეცნო ადგილობრივს ზნე-ჩვეულებას, ამ ზნე-ჩვეულებებს ყოველთვის ანგარიშს უწევდა და თანაც ცდილობდა მებატონის ხელისუფლება ადამიანობის ფარგლებში ჩაეყენებინა. კიდეც ამიტომ იყო, რომ ყველანი ენდობოდნენ, საერთოდ. ხალხი ამბობდა: "ამან ყველაფერი იცის, ვერ მოატყუებო".

ცოდვა იქნებოდა არ მოგვეხსენებინა ისიცა, რომ კოლუბიაკინმა ადგილობრივი მკვიდრნი გაიცნო და დაიახლოვა უმთავრესად მის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელის, თავად რაფიელ ერისთავის დახმარებით. ერისთავი ნიჭიერი კაცი იყო, კარგად იცნობდა თავის სამშობლოს და ქართული ენის ზედმიწევნით მცოდნე იყო. რაფ. ერისთავი მისი თარჯიმანი იყო და ამავე დროს ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების თავისებურებათა ამხსნელ-განმმარტებელი. სამწერლო ასპარეზზედ სახელი გაითქვა თავის წერილებით ხევსურებსა და თუშებზე, ეს წერილები ოდესღაც იბეჭდებოდა რუსულ გაზეთ **"კავკაზში"** და **"გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებათა კრებულში"**;'შემდეგში კი თავისს თანამემამულეთ ჭეშმარიტი სამსახური გაუწია იმით, რომ ქართულად სთარგმნა კრილოვის არაკები ხალხისათვის მეტის-მეტად გასაგების და დედანთან დაახლოებულის ენით. სამსახური კოლუბიაკინთან, როგორც სამართლიან და მთელის მხარისათვის უეჭველად სასარგებლო კაცთან, რაფიელ ერისთავს ახალისებდა და ამასთან, კოლუბიაკინი რაც უნდა მძიმე ხასიათისა ყოფილიყო თავის ყვირილითა და ჩხუბით, დღიურ მეცადინეობის შემდეგ გამხიარულდებოდა ხოლმე, ენამოსწრებულ და გულუხვ მასპინძლად გადაიქცეოდა. სცენაზე გამოჩნდებოდა აკოფოვი, ვიცინოდით მის ჩიქორთულ რუსულის ლაპარაკზე და ბოლოს იმართებოდა პრეფერანსის თამაში. რაფიელ ერისთავი არა მარტო მოხელე, არამედ მეგობარიც იყო კოლუბიაკინისა.

1857 წლის გაზაფხულზე კავკასიაში მოვიდა ახალი მეფის ნაცვალი, თავადი ბარიატინსკი. მეგობრულად მიეგება ნიკ. კოლუბიაკინს, მადლობა უთხრა სასარგებლო სამსახურისათვის, და ამით უფრო გააცხოველა მისი ენერგია. ამავე დროს კოლუბიაკინს გენერალ-მაიორობა მისცეს. უნდა ითქვას, რომ ერთი გარემოება მაინცდამაინც არ მოსწონდა, სახელდობრ – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ახალი თანამდებობის დაწესება, რომელსაც, მეტი ჩარა არ იყო, რამდენადმე უნდა დამჭორჩილებოდა – და ეს კი საშინლათ ეჯავრებოდა. მაგრამ იმით ნუგეშობდა, რომ ამ თანამდებოვაზე დანიშნული იყო გაგარინი, მისი კარგი ნაცნობი და უაღრესად პატიოსანი კაცი, რომელთან ერთად წინათაც უმსახურნია, როცა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო.

**კოლუბიაკინის ჩასვლა სამეგრელოში**

სახელგანთქმული მოგზაური სტენლი, რომელიც ცენტრალურ აფრიკაში დაკარგულ ლივინგსტონს ეძებდა, როცა იქაურს ოაზისებზე ლაპარაკობს, მოიგონებს ავის ბუნების სიმშვენიერით სამეგრელოს, რომელიც, მისის სიტყვით, ამ საუცხოო ოაზისებსა ჰგავსო. და მართლაც ჩვენს ამიერკავკასიაში სამეგრელოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს როგორც თავის მცენარეულობით, ისე კალმით დახატულ მოხაზულობით. მისს უმეტეს ნაწილს შეადგენს ვაკობი ზედაპირი, რომელსაც ოდიში ჰქვიან და რომელიც დაფარულია მთლიანი ტყეებით, სადაც თანდათან იზრდება სახნავ-სათესისა და სავენახე ადგილების რაოდენობა. ოდიში რიონის ბარის ნაწილია და ერთის მხრით ზღვაში ებჯინება, ხოლო მეორე მხრით – მთელ რიგ ქედებში, რომელნიც მარადმწვანე დაფნებით არიან დაფარულნი. ქედები თანდათან მაღლდება და მწკრივად მიეჯარვის თოვლით დაფარულ მწვერვალებიან კავკასიის ქედებს; შემოდგომის ცამოწმენდილში ფოთიდან მკაფიოდ მოსჩანს მთების ტერასების პერსპექტივა, რომელიც სულ შორს თავდება იალბუზის თოვლიან კინკრიხოთი. შედარებით მცირე ადგილზე, რომელიც სამეგრელოს უჭირავს, რამდენიმე სხვადასხვა კლიმატია, ოდიშის თითქმის ტროპიკულით დაწყებული და დათავებული სადადიანო სვანეთის ძალზე სუსხიანითა. სამი საკმაოთ დიდი მდინარე მთისა: აბაშა, ტეხური და ხობისწყალი დიდის ხმაურობით ჩახრიალებენ ქარაფებზე, გამოდიან ვიწრო ხეობიდან და თანასწორად მიედინებიან ვაკეზე; ამ ვაკეს სიგრძეზე ჰსერავენ დასახელებული მდინარენი და მათს ნაპირებზე თავმოყრილია უმეტესი წილი მცხოვრებლებისა. ლამაზ გადასახედების მოყვარულისათვის, გაგიხარიანთ, სამეგრელოში სანახავები იყვეს! საკმარისია კაცი ავიდეს ქედებზე, რომელნიც ქობასებ შემოჰკვრიან ველს, და საიდანაც უნდა, იქიდან გადმოიხედოს, ყველა ადგილიდან დაინახავს გრანდიოზულს და თავისის სიმშვენიერით გასაოცარ პანორამებს; და ისეთი პანორამები, როგორების ნახვა შეიძლება მარტვილის მონასტრიდან და სახარბედიოს საბერო სავანიდან, თავის დღეში არ დაავიწყდება. ბერებმა იმავ თავითვე იცოდენ ეპოვნათ ხოლმე ისეთი ადგილები, რომლებიც თავის მშვენიერ მდებარეობით განმსჭვრეტელობითს, დაყუდებულს ცხოვრებას აყვარებდა ხოლმე.

კავკასიაში, ვერც კი ჩამოთვლი, იმდენი ადგილებია, საიდანაც რასაც თვალითა ხედავ, შეუძლებელია კალმით გამოჰხატო. ჩვენს ჩრდილოეთის ტყიან და მინდორველიან ზოლს გაუჩნდა ისეთი დიდი ოსტატები კალმისა, როგორებიც არიან გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი; კავკასია კი ჯერ ისევ მოელის ამ მწერლების მსგავსებს. პეიზაჟების ხატვა უფრო ადვილი იყო ჩვენში, მგრამ ეს მხატვრობაც ღარიბია; ჰხატავენ ცალკეულ ლანდშაფტებს, რომელთა შესრულება ხშირად ფოტოგრაფიის საშუალებით ხდება და მხოლოდ სისწორით უნდა გადმოიცეს ფერადები მცენარეულობისა, ჰაერისა, ცისა და სხვა; მაგრამ ძალზე ძნელია ტილოზე გადმოღება კავკასიის გრანდიოზული პანორამებისა. მაგონდება ერთი ამბავი. ერთხელ კახეთში შემთხვევით მოვიდა ერთი ჩვენი უნიჭიერესი პეიზაჟისტი. მაღლობებიდან, ალაზნის ველს რომ შემორკალვია, სხვადასხვა სანახაობა რომ დაინახა, პირდაპირ გაშტერდა. და თემად დაისახა: – ტილოზე ყალმით გადაეღო სინტეზი ამ ველისა. რამდენსამე თვეს უტრიალებდა ამ თემას, ვინ იცის, რა და რა ადგილებზე არ ავიდა, საიდანაც ველი სულ ახალის სახით და ხელახალის განათებით ეჩვენებოდა; აუარებელი ეტიუდები გააკეთა და, ბოლოს, ამ ცდებმა არ დააკმაყოფილა და კავკასიიდან წავიდა. წასვლის წინ შემომიარა; რაკი იცოდა, რომ ძალიან მაინტერესებდა მისის შემოქმედების რეზულტატი, გამომიტყდა – უძლური ვარ ამ თემის ასასრულებლადაო. **"ჩემი კარგო, ამ თქვენს ალაზნის ველს ვერაფერი მოვუხერხე,** – მითხრა პეიზაჟისტმა, – **მერე რა მშვენიერია ეს დალოცვილი! რა ვქნა, ეტყობა, ჩემი ძალღონე სუსტია მის დასახატავად; ახლა ვეცდები დავივიწყო, თორემ სხვა საქმის გაკეთებაში ხელს შემიშლისო".**

# ნაჩუქარი ცხენი თუ შავი ვატერლოო?

26 მაისი

**მეოცე საუკუნეში საქართველოს ორჯერ მოუხდა დამოუკიდებლობის გამოცხადება. ერთნი ამ ფაქტს კმაყოფილებით აღიქვამენ, მეორენი კი გამუდმებით ოცდაერთი წლის თებერვალზე მიგვანიშნებენ და ამჯერადაც საბედისწერო აღსასრულს გვიწინასწარმეტყველებენ.**

**პირველი რესპუბლიკა, როგორც შ. ამირეჯიბი შენიშნავდა,,,სნეული, ავზნიანი, იარებით სავსე და უდღეური აღმოჩნდა". ისტორიის სამსჯავროც ერთობ მკაცრად გაგვიმასპინძლდა: „1918 წლის რესპუბლიკა უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც" (მ. წერეთელი).**

მაინც რა იყო **„პირველი რესპუბლიკის"** დაღუპვის მიზეზი? თავის გახმაურებულ წერილში **„სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს"** კ. გამსახურდია სინანულით აღიარებდა: **„ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს კატასტროფის მიზეზი ქართველი ერის შინაგან არსებაშია საძიებელი. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ სამი წლის ეგზამენში ჩავიჭერით. ნურავინ დააბრალებს ამ კატასტროფას ნურც მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელიმე პარტიას"...** და მაინც მწერლის კრიტიკა, არსებითად, ქართული პოლიტიკური ელიტისაკენ იყო მიმართული. ამ კრიტიკულ პათოსს კი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებაც ასაზრდოებდა. **„ჩვენს პოლიტიკოსებს, როგორც შორეულ, ისე უახლოეს წარსულში სინამდვილეში ორიენტაციის ნიჭი აკლდათ. გადაჭარბებული იდეალიზმი ახასიათებდა ქართველი მეფეების, დესპანებისა და მინისტრების პოლიტიკას"**(კ. გამსახურდია).

საერთოდ, ე.წ. **„პოლიტიკური ელიტის"** პრობლემა მუდამ მწვავედ იდგა ქართული სახელმწიფოს წინაშე. **„ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი"** – ასე ახასიათებდა სოციალ-დემოკრატ ლიდერებს ჩვენთვის კარგად ნაცნობი მიხაკო წერეთელი. **„მათი საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ახალი თაობის ახალ საქმეს... ჩვენი 1918 წლის რესპუბლიკა ისეთმა ხალხმა შექმნა, რომელსაც საქართველოში სამშობლო არ ებადაო"**, – შენიშნავდა ამ რესპუბლიკის ერთ-ერთ პირუთვნელი მემატიანე.

როგორადაც უნდა ვეცადოთ, დღეს ჩვენს შესაძლებლობებს დიდად აღემატება იმის წარმოდგენა, თუ რა ხდებოდა თბილისში 1918 წლის 26 მაისს. ამიტომ, ვფიქრობ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა იმჟამინდელ მოვლენათა შუაგულში მყოფი თვითმხილველის ერთ მეტად საყურადღებო დაკვირვებას, რომელშიც შეუღამაზებლად არის დახატული ოთხმოცდაათი წლის წინანდელი დამოუკიდებლობის გამოცხადების რეალური სურათი:

**„ამრიგად, საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მას ჰყავდა თავისი ეროვნული მთავრობა! მაგრამ ამ დღის შთაბეჭდილებანი სრულად არ იქნება გადმოცემული, თუ მარტო ამ სხდომის ოვაციაზედ და დამსწრე საზოგადოების ენთუზიაზმზედ ვილაპარაკებთ. იყო რაღაცა ელდა, რომელიც ახლდა ამ სიხარულს და რომელსაც განზრახ ყველა მალავდა ამ დღეს; საქართველო დამოუკიდებელი იყო, მას ჰყავდა თავისი ეროვნული მთავრობა, მაგრამ ის არ იყო გმირი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ბრძოლის მოედნიდან მოვიდა. ეს იყო ხალხი, რომელმაც დიდხანს აბრეცინა თვალი საქართველოს... ქართველი სოციალ-დემოკრატები თვითონ შეძვრნენ ოდესღაც იმ ხვრელში, რომელსაც კავკასიის და სრულიად რუსეთის დემოკრატია ერქვა და იქიდან გამოძრომის დროს საქართველოს სახე დააკაწრეს.**

**როდესაც პარლამენტის კანცელარიის მდივანმა ილ. ზურაბიშვილმა ეს აქტი სასახლის აივნიდან ტფილისის ხალხსაც წაუკითხა, არც ეს „ხალხი" იყო მაინცდამაინც მრავალი, და თვალი იქიდგანაც ამ აქტს წითელ დროშაზედ ჩამოხატულმა მარქსმა ჩაუკრა,– ამ დღეს ჩვენს პარლამენტზედ სოციალიზმის დროშა ფრიალებდა და ეროვნული დროშა, მგონია, მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გაჩნდა იქ!..."** (შ. ამირეჯიბი).

როგორც დავინახეთ, ავტორი პირდაპირ მიგვანიშნებს **„რაღაც ელდაზე"**, თვალშისაცემ უხერხულობაზე, რომელიც იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი რესპუბლიკის მესვეურები ხელისუფლებაში მოვიდნენ არა **„ეროვნული ბრძოლის მოედნიდან"**, არამედ ანტიქართული ნიჰილიზმის ჭაობიდან, მოვიდნენ ილიას სისხლში ხელგასვრილები და ***„ახლა სწორედ იმის კეთება უხდებოდათ, რასაც ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა, მაგრამ საამისო აღარც თავი ჰქონდათ, არც გული, არც უნარი!.." დღეს შეიძლება ვინმეს დაუჯერებელ ზღაპრად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრებაზე ხანგრძლივი დებატების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი გადაწყდა არა ერთსულოვნად, არამედ ხმათა უბრალო უმრავლესობით...***

**„ყველაფერს ნაჩუქარი ცხენის ფასი ჰქონდაო"**, – მწუხარედ დასძენდა ისტორიკოსი.

9 აპრილი, ისევე როგორც 26 მაისი, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა სამუდამოდ დაუკავშირდა ამ თარიღს. ცხადია, ზვიად გამსახურდიას ეს დღე შემთხვევით არ აურჩევია. ოცი წლის წინათ ქართველი ახალგაზრდები შიშველი ხელებით დაუხვდნენ თბილისში შემოჭრილ ტანკებს და ჩვენს ეროვნულ ღირსებას შესაფერისი ძეგლიც დაუდგეს. **„სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, – აღნიშნავდა ზ. გამსახურდია, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილს წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა"...**

1991 წლის 9 აპრილს, უზენაესი საბჭოს სხდომაზე, საკმაო რაოდენობით იყვნენ **„ეროვნული ბრძოლის მოედნიდან"** მოსულები. მაგრამ მათ შორის ნამდვილი გმირი მხოლოდ ზვიად გამსახურდია იყო. იგი ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლით მივიდა ხელისუფლებაში. თექვსმეტი წლისა იყო, როდესაც პირველად დააპატიმრეს და მას შემდეგ, სიკვდილამდე მოუსვენრად იცხოვრა. მამამისი, კ. გამსახურდია ერთგან შენიშნავდა: **„ყოველ ადამიანს უწერია ამქვეყნად ერთგვარ უღელტეხილთან მიღწევა, ყოველ მწერალს და მებრძოლს მოელის თავისი შავი ვატერლოო... ყოველი გმირი ბოლოს და ბოლოს უნდა დამარცხდეს"...**

ზვიადი კი, თითქოს მამას ეპასუხებაო, დაბეჯითებით იმეორებდა: **„როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება მსხვერპლად მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას!"**

1991 წლის 9 აპრილს საქართველოში **„დიდმა საქმემ"** გაიმარჯვა! ზვიად გამსახურდიას ოცდაათწლიანმა ღვაწლმა, რომელიც ქართველი ერის ისტორიული ცნობიერებით იყო ნასაზრდოები, რეალობად აქცია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. მაგრამ ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე მას თავისი **„შავი ვატერლოოც"** უნდა გამოეცადა.

შეუძლებელია, ზვიად გამსახურდია ჩვეულებრივი მოკვდავივით მშვიდად და განმარტოებით გამოეთხოვოს წუთისოფელს-მეთქი, ვუთხარი ერთხელ და თან დავამატე: თქვენისთანა ადამიანები თბილლოგინში კი არა, გოლგოთაზე ეთხოვებიან სიცოცხლეს-თქო...

ჩვენს მაშინდელ საუბარს ბევრი უსმენდა, მაგრამ არც ერთს რამეს უარყოფა არ უცდია!

თავადაც არაფერი უთქვამს, რადგან კვლავ მტკიცედ სწამდა: **„როდესაც რაიმე დიდ საქმეს შეეწირება მსხვერპლად მისი მესვეური, ეს მოასწავებს ამ საქმის გამარჯვებას!"**

იქნებ ამიტომაც იყო, რომ თავის გადასარჩენად არაფერი იღონა... თავის ერთ მშვენიერ ესსეში შენიშნავდა: **„ნურავის გაუკვირდება, რომ მე შელლიზე საუბარს მისი აღსასრულით ვიწყებ. პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს".**

ზვიად გამსახურდიას აღსასრული, ტრაგიკული ფინალი, მართლაც ზუსტი გასაღებია მთელი მისი ცხოვრების გასაგებად.

**„ცხოვრების დინების საწინააღმდეგოდ სვლა ჯერ კიდევ ადრე, სიჭაბუკეში გადაექცა ვნებადო"**, – წერდა დიდი ინგლისელი პოეტისადმი მიძღვნილ ნარკვევში.

აქაც თითქოს თავის თავზე წერდა!

**„ღუაწლი არს გაჭირვებაში ყოფნა და უფროისად ომში".** სულხან-საბას განმარტებით, მოღვაწე და მოჭირნახულე სინონიმური ცნებებია.

ზვიად გამსახურდია მე მუდამ **„გაჭირვებაში მყოფი"** და **„უფროისად ომში"** ჩაბმული მახსენდება. მან სწორედ ამ გაჭირვებასა და ომში დალია სული, რათა საქართველო გამარჯვებული ყოფილიყო.

**26 მაისი და 9 აპრილი**

ჩვენს ახლანდელ ხელისუფალთ გაჭირვებისა არაფერი ეტყობათ. სამაგიეროდ, საქართველოა მეტისმეტად გაჭირვებული.

იყო დრო, როდესაც ქართველი კაცი უიარაღოდ დგებოდა ტანკების პირისპირ და მოძალადის წინაშე ქედის მოხრა ეროვნული ღირსების მიუტევებელ შელახვად მიაჩნდა. ასე იყო ოთხმოცდაცხრა წლის აპრილში და ასე იყო შემდეგაც, როდესაც მან დამოუკიდებლობის მოპოვება განიზრახა.

სულ ახლახან კი ჩვენ სამარცხვინოდ დამარცხებული და მიწაზე გართხმული მთავარსარდალი ვიხილეთ, რომელსაც დღემდე ყოფნის თავხედობა და თავს გამარჯვებულად ასაღებს.

უფრო ადრე ქართულმა საზოგადოებამ ხელისუფლებისაგან ისეთი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დარტყმები იწვნია, რომელთა დავიწყებას ის, ალბათ, დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს. დღესაც თვალწინ მიდგას მოძალადეთა ბრბო, რომელმაც მამა ბასილის **„ასაყვანად"** ისეთი **„სპეცოპერაცია"** ჩაატარა, იმდენ ბავშვსა და ქალს, მოხუცსა და ახალგაზრდას დასცა თავზარი, რომ სელჯუკთა შემოსევებიც კი დაჩრდილა ჩვენს პირქუშ ისტორიაში.

დამოუკიდებელ საქართველოს მსგავსი სირცხვილი არასოდეს უნახავს!

ქართველ ერს ასეთი ტკივილი იშვიათად განუცდია!

და ყოველივე ეს ჩაიდინეს ადამიანებმა, რომლებიც თავს, რატომღაც, ქართველებად მიიჩნევენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ პირჯვარსაც კი იწერენ.

გავიდა მცირე ხანი და ტელეეკრანზე კვლავ გაიელვა არანაკლებ თავზარდამცემმა კადრებმა. მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება საფლავებიდან ამოყრილი ჩონჩხებისა და თავის ქალების ფონზე საზოგადოების წინაშე თავმომწონედ მოლაპარაკე პოლიციის მინისტრი, რომელმაც რატომღაც სწორედ ასეთ **„ნატურალურ"** გარემოში ისურვა პრესკონფერენციის გამართვა.

ბარბაროსობისა და ველურობის მსგავსი მაგალითი ჩვენს ისტორიაში ნამდვილად არ მოიძებნება!

ასეთი ფაქტები ავადმყოფური თვითგანდიდების, ცხოველური გახელებისა და მანიაკალური სადიზმის ქრესტომათიულ შემთხვევებს წარმოადგენენ.

ერთხელ მიხეილ სააკაშვილმა უნებლიედ თავად ჩამოიხსნა ნიღაბი და ტელეეკრანიდან საჯაროდ ასეთი ძნელადდასაჯერებელი ამბავი გვაუწყა: **„ერთმა მეგობარმა შემომჩივლა, ოპოზიცია ჩემზე ტყუილებს ლაპარაკობსო. მე იგი დავამშვიდე: ჩვენ მაშინ უნდა შეგვეშინდეს, როცა ჩვენზე სიმართლეს იტყვიანო"...** დიახ, **„პრეზიდენტი"** არაორაზროვნად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე აცხადებს – სიმართლის მეშინიაო!

მან დაუფიქრებლად გასცა თავისი თავი და თქვა ის, რასაც გონიერი მმართველი არაფრისდიდებით არ იტყოდა!

საცა სამართალია, სააკაშვილს სიცრუისა და ცილისწამების უზნეობაზე უნდა ჩამოეგდო სიტყვა, რაც ამ ვითარებაში სრულიად ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. მიზეზი უბრალო და მარტივია: ის ნამდვილად შეპყრობილია დამთრგუნველი შიშით, სიშიშვლის, ანუ უნიღბოდ დარჩენის შიშით! **„მეფე შიშველია"**, – ეს შეძახილი ხომ ყოველგვარი ძალაუფლების გაკოტრებაზე მინიშნებაა. ამიტომ სიცრუე მისი უერთგულესი თანამგზავრი და ხალხთან ურთიერთობაში გამოსაყენებელი ყველაზე მოსახერხებელი იარაღია. ამ იარაღის გარეშე ის თავს მუდამ უძლურად და დაუცველად გრძნობს.

დააკვირდით მის ქცევასა და საუბარს. ამ ადამიანს საერთოდ არ ძალუძს კონკრეტულ, სერიოზულ პრობლემათა ანალიზი. უფრო მეტიც: აშკარაა, რომ მას ძალზე უჭირს აზროვნება და აქედან გამომდინარე, უჭირს გამართული მეტყველებაც.

მისი ნიღბის განუყრელი ატრიბუტია სიცილი, – ხშირად ყოვლად უაზრო და უადგილო, უმოტივო და უმისამართო... ნიღაბზე, აგრეთვე, აღბეჭდილია უსაფუძვლო ოპტიმიზმი და ცრუ შემართება, რასაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

უნიღბო პრეზიდენტი კი არანაკლებ თავზარდამცემად გამოიყურება, ვიდრე მისი ნიღბიანი სპეცრაზმელები...

ზემოთ ქართველ სოციალ-დემოკრატებზე ვსაუბრობდით. ცნობილია, რომ ისინი ჩვენი ერის კულტურულ-ისტორიული წარსულის აკვიატებული სიძულვილით იყვნენ შეპყრობილნი. ეროვნული ნიჰილიზმი მათი უკურნებელი სენი იყო. პირველი რესპუბლიკის მოქალაქენი, ალბათ, თვით ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში გავრცელებული ეს სახადი ოცდამეერთე საუკუნეშიც აფეთქდებოდა და ამჯერადაც სწორედ საქართველოს ხელისუფლებას შეეყრებოდა.

ჩვენს დღევანდელ ნაციონალებს და გუშინდელ სოცდეკებს, უწინარეს ყოვლისა, უსამშობლობის, უქართველობის და უწარსულობის განცდა აერთიანებთ. მათი სულიერი ნათესაობა სხვა მხრივაც თვალშისაცემია. მაგალითად, სოციალ-დემოკრატებისდროინდელ საქართველოში, როგორც ერთი ისტორიკოსი შენიშნავდა, **„თითქმის სავალდებულოდ იყო მიღებული, რომ ხელისუფლებას განსაკუთრებულად უჭკუო ხალხისათვის ადგენდნენ".** ასეთივეა ნაცმოძრაობის ხელისუფლებაც, რომელიც, იმედია, სულ მალე გაიზიარებს კოსმოპოლიტიზმით შეპყრობილ წინამორბედთა ხვედრს და სადმე **„სხვა საქართველოს"** იპოვის.

**თემურ ქორიძე**

# ყველას სათქმელს მოგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო!

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთ "ილორის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ გაზეთის მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას და მის ოჯახს უახლოესი ნათესავისა და ახალგაზრდა მეგობრის გულბაათ (ბაჩუკი) კობახიძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

1. დაგიჩემებიათ, ქვეყანაში არნახული ეკონომიკური ზრდაო. ამასვე დაუსრულებლად იმეორებთ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. ვინ დაგიჯერებთ? ეკონომიკის ზრდა-განვითარება ხალხის ცხოვრების დონით ისაზღვრება (თუ მხედველობაში გაქვთ თქვენი და თქვენი გარემოცვის ცხოვრების დონე, მაშინ მართალი ბრძანდებით!). საქართველოს 2009 წლის 31 იანვრის მდგომარეობით ორი მილიარდ ექვსას ოცი მილიონი (2.620.000.000) აშშ დოლარი საგარეო ვალი აქვს და ეს მაჩვენებელი ერთ წელიწადში 30 პროცენტით არის გაზრდილი (ეს განპირობებულია ფასიანი ქაღალდების გაყიდვით, ლარის კურსის გაუარესებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მხარდამჭერი ქვეყნებიდან ახალი კრედიტების მიღებით და სხვა). საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 2008 წლის 31 სექტემბრის მონაცემებით თითქმის 8 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღწევს. საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის, თუ სად დაიხარჯა ის 500 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც საქართველომ ფასიანი ქაღალდების ლონდონის ბირჟაზე გაყიდვით მიიღო.

ეკონომიკის რომელ განვითარებაზე შეიძლება საუბარი მაშინ, როცა მოსახლეობის 74 პროცენტი შიმშილის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ქვეყანა მათხოვრებით გაივსო და სარჩოს მოსაპოვებლად ღვაწლმოსილი ადამიანები ნაგავსაყრელ ბუნკერებში იქექებიან – თქვენ ეს მიგაჩნიათ წარმატებად?

2. ქალაქს ქალაქის კოლორიტი დაუკარგეთ, სოფელს სოფლის სახე აღარა აქვს. ქალაქად მუშათა კლასი აღარ არსებობს. ამას თქვენ ყველა საშუალებით უშლით ხელს, რადგან უცხოელ ინვესტორებს მუშები თავიანთი ქვეყნებიდან მოჰყავთ. სოფლად გლეხი არ არის, მიწას ვერ ამუშავებენ გამწევი ძალის, საწვავის, სათესლე მასალის და შესაწამლი პრეპარატების უქონლობის გამო. გლეხის მიერ ჭაპანწყვეტით მოწეულ მოსავალს სახელმწიფო არ იბარებს. თქვენ წინასაარჩევნო პერიოდში ხალხს ატყუებდით, **"ოქროს მთების"** აშენებას პირდებოდით, აცხადებდით, რომ ხალხს ყურძნის, ხილისა და ციტრუსების ჩაბარებაში დაეხმარებოდით, მაგრამ თქვენს ნათქვამს საქმე არასოდეს მოჰყოლია და ყველამ წინასწარ იცოდა, რომ ცრუობდით. თქვენ ქვეყნის მართვის ყველაზე ცუდი გზა აირჩიეთ – ხალხის მოსყიდვა სოფლად ერთი შეკვრა სასუქის მიცემით, ხოლო ქალაქად გაპუტული ინდაურების სახლებში მიტანით – ეს მიგაჩნიათ წარმატებად?

3. მეტად სასაცილოდ მეჩვენება თქვენი განცხადება – პენსია 5 ლარით გავზარდეთო. უკეთესი იქნებოდა და ხალხიც მადლობელი დაგრჩებოდათ, პენსიის მომატებასთან ერთად იმის ინსტრუქციათ დაგერიგებინათ, თუ როგორ უნდა გაანაწილოს პენსიონერმა 85 ლარი, როგორ შეიძინოს ერთი თვის სამყოფი პროდუქტები, ისეთ **"ფუფუნებაზე"** არაფერს ვამბობთ, როგორიცაა ხორცი, თევზი, თაფლი და სხვა. ამას ემატება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის გაზრდილი გადასახადები. როგორ უნდა გაუშვან ბავშვი სკოლაში, მაშინ, როდესაც მე-8 კლასის მოსწავლეს წიგნებისა და სხვა სასკოლო ნივთებისათვის სჭირდება 250 ლარი. არაფერს ვამბობთ ტანსაცმელზე და სხვა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ერთი პოეტისა არ იყოს, **"კონცეფცია ამგვარია: მხოლოდ ხორცის გადარჩენა, სულზე ფიქრი ზღაპარია".** მხოლოდ სულის გადარჩენაზე **"მოფიქრალი"** ხალხი დათრგუნულია – ეს მიგაჩნიათ წარმატებად?

4. ამბობთ, ბიუჯეტი 4-5-ჯერ გაიზარდაო, საინტერესოა, რატომ არ უთითებთ წყაროს? ამაზე ევროსაბჭოს სხდომაზე ჩაგეძიენ (ერთ-ერთმა პიროვნებამ შეკითხვაც მოგცათ: მომავალში ბიუჯეტის გაზრდას რის საფუძველზე აპირებთო, მაგრამ, როგორც გჩვევიათ, როცა საკითხი თქვენს სასარგებლოდ არ არის, მას გვერდს უვლით და ზოგადი პასუხით შემოიფარგლებით). ცნობილია, რომ საბაჟოებიდან მიზერული თანხები შემოდის, რადგან ძირითადი საბაჟო რუსეთთან დახურულია. ფართო საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ეს ის ფულია, რომელიც პრივატიზაციიდან არის მიღებული. ეს ქონება იმ ხალხის მიერ არის შექმნილი, რომელთაც თქვენ ხშირად უღირსად მოიხსენიებთ, ხოლო თქვენ და თქვენი გარემოცვა, რომლებმაც ქვეყანა გაძარცვეთ და ფულს უცხო ქვეყნების ბანკებში ინახავთ, **"ღირსეული"** ყოფილხართ. ვინც ხელისუფლებაში ხვდება თქვენი წყალობით, საკმარისია 2-3 თვე იმუშაოს, რომ მის ქონებრივ დეკლარაციას 10-გვერდიანი თაბახის ფურცელი არ ჰყოფნის. მე ერთ-ერთ წერილში გთხოვეთ, კოლექციისათვის ერთი ღარიბი მოხელე შეგერჩიათ, მაგრამ ვინ მოგისმინა? ეს მიგაჩნიათ წარმატებად თუ წარუმატებლობად?

5. პრივატიზაციიდან მიღებული თანხები თქვენი ნაოფლარი, შრომის შედეგად მიღებული რომ ყოფილიყო, უფრო მომჭირნედ იქნებოდით და არ გაანიავებდით პიარკამპანიისათვის. ქვეყანა სულს ღაფავს, ეკონომიკური სიდუხჭირის დროს ნორმალური პრეზიდენტი სასახლეს არ აიშენებდა, რაც ასეულ მილიონობით ლარი ჯდება. არსებული სახელმწიფო კანცელარიის შენობის ღირებულება იმაზე ათჯერ მეტია, ვიდრე აშშ-ს პრეზიდენტის რეზიდენცია. აღნიშნულზე მე 2004 წლის 12 მაისს გაზეთ **"ლიტერატურული საქართველოს"** ფურცლებიდან მოგმართეთ და გითხარით, რომ ახალი რეზიდენციის მშენებლობა თქვენს მიერ გაანგარიშებულზე ასჯერ ძვირი დაჯდებოდა, თქვენ კი ამტკიცებდით, სულ ათი მილიონი ლარი დაჯდებაო. ეს მიგაჩნიათ წარმატებად?

6. დღითიდღე კლებულობს საქართველოში ქართველთა რიცხვი – შობადობა ისეთ დონეზეა, რომ ერს გადაშენება ემუქრება. გაეროს დეპარტამენტის ცნობით თქვენი ძალისხმევით საქართველო შეყვანილია 50 მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში. ხალხის გადაშენებისათვის ყველაფერს აკეთებთ. პირველი იანვრიდან გაუქმდა ყველა ის უმნიშვნელო შეღავათი, რომელიც ადრე არსებობდა, ამის ნაცვლად შემოიღეთ სასაცილო ვაუჩერიზაცია. ეს, როგორც სასაცილოდ დაიწყეთ, ისევე სასაცილოდ დამთავრდება. ახალი 5-ლარიანი დაზღვევით 60 წელს გადაცილებულ მოქალაქეს არ აქვს დაზღვევის უფლება, ე.ი. 60 წელს გადაცილებულები განწირული არიან სასიკვდილოდ – ეს მიგაჩნიათ მორიგ წარმატებად?

7. თქვენი მმართველობის პერიოდში უდიდეს მასშტაბებს აღწევს ემიგრაცია (ძირითადად ქართველი პროდუქტიული მოსახლეობის ხარჯზე). საქართველო დასტოვა მილიონზე მეტმა მოქალაქემ. შიმშილისა და ავადმყოფობის შიშით იცლება მთისა და ბარის მოსახლეობა. კიდევ კარგი, სავიზო რეჟიმი გამკაცრდა, თორემ საქართველოში კაცი არ დარჩებოდა. ახლა კი ეს პროცედურაც გაამარტივეთ, რათა, სრულიად საქართველო, რაც შეიძლება მალე დაიცალოს ქართველებისაგან და იგი თქვენი რჯულის ხალხისა და სხვა უცხოელთა სათარეშოდ იქცეს. თქვენ, როდესაც პიარისათვის გჭირდებათ, საზღვარგარეთ მცხოვრებთ ჰპირდებით დაბრუნებას, მაგრამ თქვენი სიტყვა ეთერში დარჩა და საქმე არ მოჰყოლია – ეს მიგაჩნიათ წარმატებად?

8. სასაცილოდ მეჩვენება თქვენი და თქვენს მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის რიხიანი განცხადება, როცა მთავარ ამოცანად დაისახეთ უმუშევრობასთან ბრძოლა. ეს ხდება იმ დროს, როცა ტოტალური შემცირებების გამო ხალხს ქუჩაში ჰყრიან. ეს მორიგი პიარისთვის გინდათ, თორემ როგორ აპირებთ სამუშაო ადგილების შექმნას? ძირითადმა ინვესტორებმა დასტოვეს საქართველო. უმუშევრობამ პიკს მიაღწია. მათი უმრავლესობა ჯანღონით სავსე ახალგაზრდაა. დაუსაქმებელი ადამიანი პოტენციური ლოთი, ნარკომანი, მკვლელი ხდება. ეს მარტივი კანონზომიერებაა. ხელისუფლებამ რადიკალური ზომები უნდა მიიღოს, ამისათვის საჭიროა მათი დასაქმება. სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებებით კმაყოფილდებიან, რომელიც მხოლოდ დასჯას ითვალისწინებს. ნარკომანს სჯიან, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს ხარჯზე უმკურნალონ და ეს მიგაჩნიათ წარმატებად?

9. საზოგადოების ზნეობრივი ორიენტირი გაქრა, აბსოლუტურად იგნორირებულია მასმედია, სიტყვით ბევრს ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. ტელეარხების **"კავკასიისა"** და **"მაესტროს"** გარდა ყველა სხვა ტელევიზია ხელისუფლების კონტროლქვეშაა, მათი გადაცემები იგეგმება სახელმწიფო კანცელარიისა და პრეზიდენტის კაბინეტში. კლასიკური პოეზია, მწერლობა, საქილიკო გახდა. პროფესორ-მასწავლებლები, რომელთაც 65 წელს მიაღწიეს, მორალურად მოძველდაო, მაგრამ უცხოეთში განსწავლულმა უნდა იცოდეს, რა ნიშნავს **"აკმე"**. თუ იცით, როდის აღწევს ადამიანი გონივრული განვითარების ზენიტს და რამდენი ხანი გრძელდება იგი? თქვენ 50 წელს გადაცილებული ასაკი ბიოლოგიურ სიბერედ მიგაჩნიათ. ჩაიხედეთ ცნობარში, სადაც წერია, რომ ნობელიანტთა 67 პროცენტს ჯილდო 50-90 წლამდე ასაკში აქვს მიღებული. თქვენ მძიმე დანაშაული ჩაიდინეთ ერის წინაშე, რაზედაც პასუხს მოგთხოვენ. საქმის მცოდნე და დამსახურებულ ადამიანებს სულიერი ტრავმა მიაყენეთ და ქართული მეცნიერება 50 წლით მაინც დახიეთ უკან. საინტერესოა, საკუთარ ოჯახზე რატომ არ ავრცელებთ ამ კანონს? პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ორი კორპუსი შეიძინეთ, ჩალისფრად შეღებეთ და დედათქვენი რექტორად დასვით. თქვენი ანტიეროვნული საქმიანობის შედეგებს ვიმკით, უმაღლეს სასწავლებლებში თქვენი ხელდასმული ლექტორები ლექციებს ვერ კითხულობენ. ჯერჯერობით დარჩენილი ძველი კადრის პროფესორ-მასწავლებლები აკავებენ სტუდენტებს, თორემ უმაღლესი განათლების სისტემა მთლიანად დაგეშლებოდა. ეს მიგაჩნიათ წარმატებად?

10. არასერიოზულად მეჩვენება თქვენი განცხადება, ეკონომიკური კრიზისი თავიდან უნდა ავიცილოთო. 17 წელზე მეტია ქვეყანაში ყოველმხრივი კრიზისი მძვინვარებს. კრიზისი იმ ქვეყანაშია, სადაც ხალხი დასაქმებულია და წარმოება-დაწესებულებები მუშაობენ. საქართველოში ჰაერის მეტი ყველაფერი გაყიდეთ და, რომ შეგეძლოთ, მალე ალბათ ჰაერსაც გაყიდით.

და კიდევ – ნამდვილად არ მეჯერა, რომ შევარდნაძე სანატრელი გაგვიხდებოდა. რომელ საქმესაც ხელი მოჰკიდეთ, ყველაფერი მიწასთან გაასწორეთ. დღედაღამ პიარკამპანიაზე რომ ფიქრობთ და ამაზე დროს ხარჯავთ, ბატონო საკაშვილო, პიარზე ზრუნავ თქვენ სახელმწიფოს მართვა ხომ არ გგონიათ?

**გიორგი (გონი) ცაავა,**
**საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი**

სამწუხაროდ, მხცოვანებით განგება ამ წუთისოფელში ბევრს არ ანებივრებს. ბაჩუკი კობახიძემაც მხოლოდ თავისი სიცოცხლის 34 გაზაფხული იზეიმა და სწორედ მაშინ ჩამოჰკრა უბედურების ზარმა, როცა ყველას გვეგონა, რომ კობახიძეების დიდ ოჯახში მორიგი ბედნიერება იფეთქებდა. მეგობრებში აშკარად გამორჩეული, ამირანივით ზორბა, მუდამ მოფუსფუსე და საქმიანი ვაჟკაცი ღიმილით იტყოდა ხოლმე: ოჯახის შექმნა ცოტა დამიგვიანდა, მაგრამ წელს აუცილებლად დავოჯახდებიო.

ვერ მოასწრო...

ასეთი ვაჟკაცები მხოლოდ ოჯახს კი არა, სამშობლოსაც უკვდება, რადგან **"ყელამდე მართალი"** ადამიანის შთამომავლობა არ შეიძლება, რომ გენეტიკურადაც და აღზრდითაც მის წინაპარს არ დაემსგავსოს. ამიტომ, ბაჩუკისთან ერთად ჩვენ დავკარგეთ ის ლამაზი თაობაც, რომელიც თავმდაბლობითა და სიყვარულის უშრეტი გრძნობით უდავოდ დაამშვენებდა ჩვენს ბედკრულ ქვეყანას.

სამაგალითო შრომისმოყვარეობითა და ენერგიით გამოირჩეოდა ეს დაუზარელი ადამიანი. მხოლოდ გადამდები სიმშვიდე, გარშემომყოფთა მიმართ ყურადღებიანობა და ამოუწურავი სიყვარული მოედინებოდა მისგან. გაბრაზებული ბაჩუკი კობახიძე არასდროს არავის უნახავს. მიუხედავად სერიოზულობისა, მასში ყმაწვილური უფრო სჭარბობდა, მაგრამ ეს იყო არა ინფანტილიზმი, არამედ ბავშვური ხალასი სიყვარული ყველასა და ყველაფრისადმი.

ჭეშმარიტად ზღაპრული ტანადობისა და ძალ-ღონის პატრონი გახლდათ, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად უშუალო და თბილი. მისგან ნაწყენი და გულნატკენი ჭიანჭველაც კი არ დაიარება დედამიწის ზურგზე. მხოლოდ ჩვენ – საკუთარი ბებია და ბაბუა, მშობლები, დედმამიშვილები, ძმისშვილები და ახლობლები არ დაგვინდო, თავისი ტრაგიკული აღსასრულით საოცრად გვატკინა გული და სამუდამო საწუხარი დაგვიტოვა.

მთელი მისი სიცოცხლე ფრთაგაშლილი მოყივარი მიმინოს ერთ ლამაზ, ელვისებურ ჩამონავარდებას ჰგავდა. მართალია, ვერ დაგვიტოვა შთამომავლობა, მაგრამ დაგვიტოვა იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორი კეთილშობილი და უბოროტო უნდა იყოს ამ ცოდვილ დედამიწაზე მოვლენილი ადამიანი. და კიდევ, დაგვიტოვა წარუხოცელი სევდა და სასტიკი გულისტკივილი, რომელიც ალბათ არასოდეს არ განელდება.

ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ბაჩუკი კობახიძეს, ამ მართლაც დევივით ვაჟკაცს, სიკვდილი მოერეოდა, მაგრამ თურმე რა მწარედ ვცდებოდით...

ისდა დაგვრჩენია, რომ ნუგეში ვცეთ მწუხარებით განადგურებულ მის მშობლებსა და ახლობლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმწიკვლო სული, ჩვენო საყვარელო შვილო, ძმაო და მეგობარო, ბაჩუკა კობახიძე!

**გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.**

# არგენტინა – 1978

მსოფლიოს რიგით მეთერთმეტე ჩემპიონატი გაიმართა 1978 წელს და მას არგენტინამ უმასპინძლა. 1976 წელს არგენტინაში სამხედრო გადატრიალება მოხდა, თუმცა ამას ჩემპიონატის ჩატარებისათვის ხელი არ შეუშლია. ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი კი იზრდებოდა და იზრდებოდა...

საკმაოდ მაღალი ხარისხის ფეხბურთი აჩვენეს პირველ ქვეჯგუფში მოთამაშე გუნდებმა. ამის თქმა შეიძლება არა მხოლოდ იტალიელებსა და არგენტინელებზე, არამედ ფრანგებზეც, თუმცა, საბოლოოდ, ჯგუფიდან გასვლა მხოლოდ იტალიამ და არგენტინამ შესძლო. მეორე ჯგუფიდან კი ფინალში პოლონელები და გერმანელები გავიდნენ. მესამე ქვეჯგუფში ყველასათვის მოულოდნელად პირველი ადგილი ავსტრიის ნაკრების წევრებმა მოიპოვეს, რომელთაც ბურთების უკეთესი ბალანსით გაასწრეს ბრაზილიელებს. მეოთხე ჯგუფში კი პერუელებმა და ჰოლანდიელებმა შოტლანდიელებსა და ირანელებს აჯობეს. თავისი ნამდვილი ძალა ჰოლანდიელებმა მეორე ეტაპის პირველივე მატჩიდან აჩვენეს, როდესაც ავსტრიელები "გაანადგურეს" ანგარიშით 5:1. მეორე მატჩში ჰოლანდიელები გერმანელებს (გფრ) შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თამაში მათთვის არასასურველად დაიწყო, ფრეს მიაღწიეს 2:2. პრიზიორთა შორის მოხვედრის შანსი ჰქონდა გერმანიას, თუმცა მათ მატჩი ანგარიშით 2:3 დათმეს ავსტრიელებთან და ნახევარფინალამდე ვეღარ მიაღწიეს. ჰოლანდიელებმა კი 2:1 დაამარცხეს იტალიის ნაკრები და ზედიზედ მეორედ გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

ჯგუფში მთავარი მატჩი მეორე ტურში შედგა, სადაც ერთმანეთს არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებები შეხვდნენ. მატჩი გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. სხვა თამაშებში კი ბრაზილიამ პერუს ნაკრებს 3:0 მოუგო, პოლონეთს – 3:1. არგენტინელებმა კი პოლონელებს 2:0 მოუგეს და იმისათვის, რომ ფინალში გასულიყვნენ, პერუელები ოთხი ან ხუთი ბურთით უნდა დაემარცხებინათ, რაც მათ შესძლეს კიდეც, დაამარცხეს რა პერუს ნაკრები ანგარიშით 6:0.

მესამე ადგილისათვის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიელები და იტალიელები, რომელიც მოიგო ბრაზილიამ ანგარიშით 2:1.

ფინალური შეხვედრა არგენტინასა და ჰოლანდიას შორის საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ანგარიში გახსნა არგენტინელმა მარიო კემპესმა, თუმცა, თამაშის დასრულებამდე 9 წუთით ადრე ჰოლანდიელმა ნანინგამ ანგარიში გაათანაბრა. 90-ე წუთზე ჰოლანდიელი რენსენბრიკის მიერ დარტყმული ბურთი აისხლიტა კარის ძელმა, დამატებით დროში კი არგენტინელებმა კემპესმა და ბერტონიმ კიდევ ორი გოლი გაიტანეს ჰოლანდიელთა კარში, რამაც გამარჯვება მოუტანა არგენტინელებს. არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სესარ ლუის მენოტიმ მართლაც რომ ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელმაც დირსეულად დაიმსახურა მსოფლიო ჩემპიონატის ტიტული. სამწუხარო იყო მხოლოდ ჰოლანდიელთა დამარცხება, რადგან ასეთი ძლიერი გუნდი ჰოლანდიას მართლაც არასოდეს არ ჰყოლია...

**გიორგი ჯალაღანია**

**ფინალი**

**არგენტინა – ჰოლანდია 3:1 (1:0) დამატებითი დრო. 25.06.1978წ. ბუენოს-აირესი, "რივერ-პლეიტი"-ს სტადიონი. 80.000 მაყურებელი.**

**მსაჯები: ს. გონელა (იტალია), რ. ბარეტო-რუიზი (ურუგვაი), ე. ლინემაიერი (ავსტრია).**

**არგენტინა: ფილოლი, ოლგუინი, ლ. გალვანი, პასარელა (კაპიტანი), ტარანტინი, გალიეგო, არდილესი (ლაროსა 65), ორტისი (ჰაუსმანი 74), ბერტონი, ლუკე, კემპესი.**

**ჰოლანდია: იონგბლადი, პოორტვლიე, კროლი (კაპიტანი), ბრანდტსი, ვ. ვან დერ კერკჰოფი, რ. ვან დერ კერკჰოფი, იანსენი (სუურბიერი 72), ჰაანი, ნეესკენსი, რენსენბრიკი, რეპი (ნანინგა 59).**

**გოლები: კემპესი (38, 105), ნანინგა (81), ბერტონი (114).**

**ბომბარდირები**

**მარიო ალბერტო კემპესი (არგენტინა) – 6 ბურთი;**
**ტეოფილო კუბილასი (პერუ) – 5 ბურთი;**
**რობერტ რენსენბრიკი (ჰოლანდია) – 5 ბურთი;**

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**

**ფილოლი (არგენტინა), ედინიო (ბრაზილია), ოლგუინი, პასარელა (ორივე არგენტინა), კაბრინი (იტალია), არდილესი, ბერტონი (ორივე არგენტინა), ჰაანი (ჰოლანდია), კემპესი (არგენტინა), ზიკო (ბრაზილია), რენსენბრიკი (ჰოლანდია).**

## ილორი

ცხოვრობდა მამასთან სამი შვილი – თავიანთი სახლები კი გაქირავებული ჰქონდათ.

* * *

– მეჩვენება, რომ ქმარს აღარ ეუყვარვარ.

– მაგას საიდან ასკვნი?

– უკვე მესამე წელია სახლში აღარ გამოჩენილა...

* * *

გიყვარდეს ღვინო, დუდუკი, ქალები, რევოლუციები და იყო უსაქმური... ეს საკმარისი არაა იმისათვის რომ ქართველი გერქვას.

* * *

– დაგისხა?

– არა, მანქანით ვარ!

– მერე, რატომ მოხვედი მანქანით?

– ვჩქარობდი, ვიფიქრე უჩემოდ არ დაიწყონ დალევა-მეთქი.

## სააკაშვილის რეჟიმი ქართველი ხალხისგან გასამართლებას იმსახურებს

საქართველოში შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის გზების შესახებ ეროვნულ პარტიათა ალიანსის წევრებმა ორიოდ დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. მათი განცხადებით, ჯანსაღი პოლიტიკური სპექტრი უნდა გაემიჯნოს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს.

სახალხო პარტიის ლიდერის მამუკა გიორგაძის განმარტებით, უნდა მოხდეს გამიჯვნა სააკაშვილის დანაშაულებრივი, ქვეყნის ორგული და არალეგიტიმური რეჟიმის პოლიტიკისგან, სააკაშვილის სატელიტი, ფსევდოოპოზიციური და სააკაშვილთან ერთად ქვეყნის დანგრევაში მონაწილე ძალებისგან.

„სააკაშვილს აქვს სურვილი, ფსევდოდიალოგის რეჟიმში გადაგვიყვანოს, რათა, ერთი მხრივ, ჩააცხროს მუხტი 9 აპრილის აქციისა და ამ აქციიდან სხვა თემაზე გადაიტანოს ყურადღება; მოახდინოს საზოგადოების დეზორგანიზება. მოლაპარაკებაში უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილებაზე უფლებამოსილი პირი. გადაწყვეტილება უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯაროდ გაცხადებული. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი იტოვებს უფლებას, ამ მოლაპარაკებაზე წარდგეს იმ არგუმენტით, რომ სააკაშვილის რეჟიმი არის დანაშაულებრივი და ის იმსახურებს ქართველი ხალხისგან გასამართლებას“, – განაცხადა მამუკა გიორგაძემ.


### ვაზის საოცარი ჯიში

ფირმა "გამწვანება" კრწანისი გთავაზობთ უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძიაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტევნებს, და რაც მთავარია, ყინვა და გვალვაგამძლე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში – სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლვა, რთვლობა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ სჭირდება მობარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზაურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქეიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.

ტელ. 72-05-06.

მის. – თბილისი, გორგასალის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე | რედაქციის მისამართია: თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23 | მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია<br>მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია<br>ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი | anaklia@.web.de<br>e-mail:elisabetthal@.yahoo.de<br>რეკლამის განთავსება<br>899-57-33-22 |